საქართველოს კარი ღია!

დიდება თქვენ, სახელოვანო გმირებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 66 (13187) | შაბათი, 20 მარტი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

„აისი-2“ მოვიდოგით დაეშვა დედამიწაზე

მეცნიერული კვლევის პროგრამა შესრულებულია მთლიანად

საკდესის ცნობა

19 მარტს 12 საათსა და 02 წუთზე მოსკოვის დროით მშვიდობით დაეშვა დედამიწაზე ქალაქ პერმის რაიონში კოსმოსური ხომალდი „აისი-2“, რომელსაც მართავდა ეკიპაჟი ხომალდის მეთაურის პოლკოვნიკ პავლე ივანეს-ძე ბელიაევისა და მეორე პილოტის პოდპოლკოვნიკ ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვის შემადგენლობით.

მიწაზე დაშვება მოახდინა ხომალდის მეთაურმა პოლკოვნიკმა ბელიაევმა ხელსამართის სისტემის გამოყენებით.

ამხანაგები ბელიაევი და ლეონოვი თავს კარგად გრძნობენ.

მეცნიერული კვლევის პროგრამა შესრულებულია მთლიანად. ფრენის პროცესში წარმატებით შესრულდა რთული მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერიმენტი, როცა კოსმოსურ სივრცეში გავიდა კოსმონავტი, ეცვა რა სიცოცხლის უზრუნველყოფის ავტონომიური სისტემის სპეციალური სკაფანდრი. ეს ექსპერიმენტი ახალ ეტაპს იწყებს ადამიანის მიერ კოსმოსის ათვისებაში.

კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის „აისი-2“ ფრენის დროს მიღებულ მასალებს ამუშავებენ და აანალიზებენ.

პავლე ივანეს-ძე ბელიაევი

ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი

შრომისა და გონების გამარჯვება

კომუნისტურ პარტიასა და მთელ საბჭოთა ხალხს მთელი მსოფლიოს ხალხებსა და მთავრობებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის მიმართვა

საბჭოთა ადამიანებმა ახალი თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს კოსმოსის კვლევასა და ათვისებაში.

საბჭოთა კოსმოსური ხომალდი „აისი-2“, რომლის ეკიპაჟში შედიოდნენ ხომალდის მეთაური კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი პავლე ივანეს-ძე ბელიაევი და მეორე პილოტი კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი, დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანილ იქნა 1965 წლის 18 მარტს. ხომალდის „აისი-2“ ფრენის დროს კოსმონავტი მფრინავი ა. ა. ლეონოვი გამოვიდა ხომალდიდან, შეასრულა დასახული მეცნიერული დაკვირვებანი კოსმოსში და დაბრუნდა ხომალდში. კოსმოსში ადამიანის გასვლისა და მისი დაბრუნების განსახორციელებლად ხომალდი „აისი-2“ აღჭურვილი იყო სპეციალური რთული ტექნიკური მოწყობილობით. ხომალდის მეთაური კოსმონავტი მფრინავი პ. ი. ბელიაევი ექსპერიმენტის დროს ახორციელებდა კოსმოსში გასვლის აპარატურის მართვას, თვალყურს ადევნებდა ა. ა. ლეონოვის მდგომარეობას და დამყარებული ჰქონდა მასთან განუწყვეტელი კავშირი, უზრუნველყოფდა კოსმოსურ სივრცეში ამ უმაგალითო ცდის შესრულების უსაშიშრობას. კოსმოსური სივრცის პირობებში კოსმონავტ ა. ა. ლეონოვის ყოფნა გრძელდებოდა დაახლოებით 20 წუთს, აქედან ხომალდის გარეთ — 10 წუთს.

ამრიგად, ხომალდის „აისი-2“ ფრენის დროს ისტორიაში პირველად განხორციელდა ადამიანის გასვლა კოსმოსური ხომალდიდან უშუალოდ კოსმოსში. ეს არის უდიდესი მნიშვნელობა მეცნიერული გმირობისა, რაც ხომალდის „აისი-2“ ეკიპაჟმა ჩაიდინა. მრავალადგილიანმა კოსმოსურმა ხომალდმა „აისი-2“ 26 საათის განმავლობაში 17-ჯერ და მეტჯერ შემოუარა დედამიწას, გაიარა 720 ათას კილომეტრზე მეტი მანძილი და განახორციელა საბჭოთა მიწაზე დაშვება ქალაქ პერმის რაიონში. მთელი ფრენის დროს ხომალდის ყველა სისტემა, მოწყობილობა და აპარატურა ნორმალურად და უნაკლოდ მუშაობდა. ხომალდის ეკიპაჟის წინაშე დასახული ამოცანები მთლიანად შესრულდა. კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

კოსმოსში ადამიანის გასვლა რაც მოხდა ხომალდის „აისი-2“ ფრენის დროს, იწყებს ახალ ერას კოსმოსური სივრცის ათვისებაში. ამ უმაგალითო ექსპერიმენტმა დაამტკიცა, რომ შესაძლებელია ადამიანმა არა მარტო იფრინოს კოსმოსური ხომალდების შიგნით, არამედ აქტიურად იმოქმედოს კოსმოსურ სივრცეში, აწარმოოს დაკვირვებანი და სხვა ოპერაციები, — ერთი სიტყვით, იმუშაოს კოსმოსში. ეს ქმნის რეალურ წანამძღვრებს იმისათვის, რომ გადაიჭრას ყველაზე რთული ამოცანები, კერძოდ მოხდეს გაფრენა და გადასხმა მთვარესა და მზის სისტემის სხვა პლანეტებზე.

დაკვირვებამ, რაც ხომალდის „აისი-2“ ფრენის დროს შესრულდა, ახალი წვლილი შეიტანა მსოფლიო მეცნიერებაში.

თანამგზავრი ხომალდის „აისი-2“ მამაცმა ეკიპაჟმა კიდევ უფრო გაამრავლა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს კოსმოსური დიდება. მთელმა მსოფლიომ კვლავ დაინახა საბჭოთა კოსმოსური ტექნიკის: ჩვენი მძლავრი და ზუსტი რაკეტების, სრულყოფილი კოსმოსური ხომალდების, მათი მოწყობილობის, ადამიანის უსაშიშრო კოსმოსური ფრენის უზრუნველყოფის მთელი სისტემის უპირატესობა. ეკიპაჟმა ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ საბჭოთა მეცნიერების გონებასა და ცოდნას, კონსტრუქტორების გენიას, მუშათა მარჯვე ხელს უნარი შესწევს გადაჭრას ყოველი ამოცანა, რომელსაც კი დაუსახავენ მათ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. სოციალიზმის პირობებში სულ უფრო ძლიერ იფურჩქნება საბჭოთა ადამიანების ნიჭი და უნარი. სოციალიზმი ყოველდღე წარმოშობს სულ ახალ და ახალ ბუმბერაზებს, რომელთა გმირობა განაცვიფრებს მთელ მსოფლიოს. ჩვენმა მძლავრმა სოციალისტურმა მრეწველობამ ისეთ მწვერვალებს მიაღწია, რომ შეუძლია განახორციელოს ტექნიკაში ყველაზე გბედული შემართება, რაც ჯერ კიდევ გუშინ ფანტასტიკურად გვეჩვენებოდა.

გმირობა კოსმოსში, მამაცობა და უშიშარობა, რაც ამხანაგებმა პ. ი. ბელიაევმა და ა. ა. ლეონოვმა გამოიჩინეს, სიხარულითა და სიამაყით ალავსებს საბჭოთა ადამიანების გულს, კიდევ უფრო აძლიერებს საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობებს და იმისათვის მზადყოფნას, რომ გააკეთონ ყველაფერი, რაც საჭიროა ჩვენი სამშობლოს კიდევ უფრო ასაყვავებლად. კომუნისტურ პარტიასთან ერთად, საბჭოთა ადამიანები ამაყობენ წარმატებებით, რომლებიც შემოქმედებითს შრომაში მოიპოვეს მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა და მუშებმა — ხომალდის „აისი-2“ შემქმნელებმა და ყველამ, ვინც უზრუნველყო მისი უნაკლო ფრენა.

ხომალდის „აისი-2“ ფრენა, ისევე როგორც წინა ფრენები, ემსახურება მშვიდობისა და პროგრესის საქმეს. საბჭოთა მთავრობას უკვე არაერთხელ განუცხადებია და ახლაც კვლავ საჯაროდ აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი ახორციელებს და აპირებს განუხრელად ახორციელებდეს მშვიდობის პოლიტიკას როგორც დედამიწაზე, ისე კოსმოსშიც. ეს პოლიტიკა ემყარება სოციალისტური წყობილების ძირეულ საფუძვლებს. საბჭოთა კავშირი არც ერთ ქვეყანას არ ემუქრება, ესწრაფვის საქმიან თანამშრომლობას ყველა ხალხთან. საბჭოთა მთავრობა იღწვის იმისათვის, რომ განახორციელდეს საყოველთაო განიარაღება და სადავო საერთაშორისო საკითხები გადაიჭრას მოლაპარაკების გზით.

ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის საქმეს რომ იცავს, საბჭოთა კავშირი სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად კვლავაც განახორციელებს ყველა ღონისძიებას, რაც მასზეა დამოკიდებული, იმისათვის, რომ აღკვეთოს აგრესიული იმპერიალისტური ძალების ცდები გაამწვავონ საერთაშორისო ვითარება. საბჭოთა ადამიანები გადაჭრით გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებას სამხრეთ ვიეტნამში, აგრეთვე მათს პროვოკაციულ თავდასხმებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ჩვენ სიმპათიით ვეკიდებით და სავსებით ვუჭერთ მხარს ხალხებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის.

იმპერიალისტური პროვოკაციების გამო სოციალისტური ქვეყნების ხალხები, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის საქმე, მოწოდებული არიან კიდევ უფრო შეამჭიდროონ თავიანთი რიგები და კიდევ უფრო აქტიურად დაიცვან მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმე.

საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ მშვიდობის ყველაზე საიმედო გარანტიაა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ყოველი ღონისძიებით განმტკიცება. ფუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელნი თავიანთი თავდადებული შრომით ზრდიან მის ძლიერებას. ისინი, გმირი კოსმონავტების ამხანაგების პ. ი. ბელიაევისა და ა. ა. ლეონოვის გმირობით აღფრთოვანებულნი, ახალ წარმატებებს მოიპოვებენ შემოქმედებითს შრომაში ჩვენს ქვეყანაში ნთელი კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — კოსმონავტიკის სამშობლოს!

დიდება გმირ საბჭოთა კოსმონავტებს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის მამაც მებრძოლს!

დაე ვითარდებოდეს ყველა ქვეყნის თანამშრომლობა კოსმოსის ათვისებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** | **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

მოსკოვი. 18 მარტს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები ტელეფონით ესაუბრნენ კოსმოსურ ხომალდ „აისი-2“-ის ეკიპაჟის წევრებს პოლკოვნიკ პ. ი. ბელიაევს და პოდპოლკოვნიკ ა. ა. ლეონოვს. **სურათზე:** კოსმოსური ეკიპაჟის წევრებს ესაუბრება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

საკდესი. (მიღებულია საკდესის ფოტოტელეგრაფით).

ხვალ არჩევნებია

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალმა მიღწევამ უდიდესი სიამაყისა და სიხარულის გრძნობით ალავსო თვითეული საბჭოთა ადამიანის გული. 1965 წლის 18 მარტს საბჭოთა კავშირში დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე მძლავრი მატარებელი რაკეტით გაყვანილ იქნა კოსმოსური ხომალდი „აისი-2“. ხომალდს მართავდნენ საბჭოთა კოსმონავტი მფრინავები. ფრენა წარმატებით დამთავრდა.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ამ მორიგ გამარჯვებას ემთხვევა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელთა დიდი ზეიმი—მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. ხვალ ამომრჩევლები მიაშურებენ საარჩევნო უნებს, რათა პირნათლად მოიხადონ მოქალაქეობრივი ვალი, ხმა მისცენ თავიანთ რჩეულთ, რომლებმაც უანგარო და დაუღალავი შრომით ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს.

ყველგან დამთავრდა და დიდი პოლიტიკური აქტივობით წარიმართა დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრები ამომრჩევლებთან.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საგანგებოდ მომზადებული ხვდებიან რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები. საარჩევნო ოლქები და უბნები ყველგან შესაფერის ბინებშია მოთავსებული და გემოვნებით არის გაფორმებული.

ისინი უზრუნველყოფილი არიან სათანადო დოკუმენტაციითა და ინვენტარით. საარჩევნო კანონის სრული შესაბამისობით მოეწყო ხმის მისაცემი კაბინები. უკლებლივ ყველა საარჩევნო უბანი უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირით. საარჩევნო უნებებში მოეწყო დედათა და ბავშვთა ოთახები, სამედიცინო დახმარების პუნქტები. ბუფეტები. ყველგან ორგანიზებულია ტრანსპორტი ავადმყოფი და ხანდაზმული ამომრჩევლებისათვის ბიულეტენების შინ მისატანად.

დიდი ღონისძიებები განხორციელდება თვით არჩევნების დღეს — 21 მარტს. აგიტატორები დილაადრიან შეიკრიბებიან საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა შესახვედრად, ყველა უბნებში მივლენ აგიტმხატვრული ბრიგადები, გაიმართება კონცერტები, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების გამოსვლები.

საქართველოს მშრომელები ღრმად არიან დარწმუნებული იმაში, რომ კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით ისინი ხმას მისცემენ კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების წარმატებით შესრულებას, საბჭოთა სამშობლოს შემდგომ აყვავებას, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მთელი სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

ხვალ არჩევნებია. ყველანი არჩევნებზე!

კომუნისტთა და უპარტიოთა სახალხო ბლოკის ახალი გამარჯვებისათვის, ამხანაგებო!

საქართველოს მხატვართა VI ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ, საქართველოს მხატვართა VI ყრილობის მონაწილეებს და თქვენი სახით — რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების ყველა ოსტატს.

თქვენი ყრილობა შეიკრიბა ღირსშესანიშნავ ვითარებაში, როდესაც განსაკუთრებით სრულად ვლინდება კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის დარაზმული საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ძალები, როდესაც არსებობს ყველა პირობა ჩვენი ხელოვანი ინტელიგენციის ნაყოფიერი საქმიანობისათვის, იმ ინტელიგენციისა, რომელიც ქმნის მაღალიდეურსა და დიდი მხატვრული ზემოქმედების ძალის მქონე, საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომის სიმართლით ამსახველ ნაწარმოებებს. თქვენი ყრილობის წინადღეს კიდევ ერთხელ განაცვიფრა მთელი მსოფლიო საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალმა გრანდიოზულმა ტრიუმფმა. „აისი-2“-ის სიგნალები, რომელსაც მართავენ სახელოვანი კოსმონავტები ბელიაევი და ლეონოვი, აცნობენ სამყაროს ჩვენი სოციალისტური სისტემის ცხოველმყოფელ ძალასა და საბჭოთა ადამიანის უჭკნობ დიდებას.

V ყრილობის შემდეგ განვლილი სამი წლის მანძილზე ქართველ მხატვართა შემოქმედებითმა კოლექტივმა, რომელიც განუხრელად ხელმძღვანელობს პარტიის მითითებებით კომუნისტურ მშენებლობაში, ახალი ადამიანის აღზრდის საქმეში სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე მდგომი ხელოვნების როლისა და მნიშვნელობის ამაღლების შესახებ, საგრძნობ წარმატებებს მიაღწია. საბჭოთა საქართველოს მხატვრები აქტიურად მიმართავენ თანამედროვეობის თემებს, შეუერგებელ ბრძოლას ეწევიან ხელოვნებაში ბურჟუაზიული იდეოლოგიის რაიმე გამოვლინების წინააღმდეგ, მხატვრულ შემოქმედებაში ფორმალიზმის შეჭრის წინააღმდეგ. უკანასკნელი წლების განმავლობაში მათ შექმნეს მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც ხელს უწყობენ კომუნიზმისათვის მებრძოლთა, ჩვენი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტთა აღზრდას. საბჭოთა ადამიანების ჭეშმარიტად მხატვრული გემოვნების განვითარებას.

თავიანთ უმაღლეს მოწოდებად მხატვრებს მიაჩნიათ ხალხის ერთგული სამსახური, ჩვენი სინამდვილის ღრმად და სიმართლით ასახვა, საბჭოთა ადამიანების აღზრდა კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით.

რესპუბლიკის ფერწერთა, მოქანდაკეთა, გრაფიკოსთა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა შემოქმედებითის ზრდას მოწმობს მრავალრიცხოვანი სამხატვრო გამოფენები, რომლებიც უკანასკნელი წლების მანძილზე მოეწყო საქართველოში თუ მის საზღვრებს გარეთ.

ახლა, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელისა და ხელმძღვანელის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მეგობრისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიასძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად, სახვითი ხელოვნების ოსტატებმა უნდა შექმნან ახალი ღრმად იდეური, მაღალმხატვრული ნაწარმოებები.

ამოცანა ის არის, რომ უფრო სრულად გამოვიყენოთ მთელი მრავალფეროვნება და სიმდიდრე სოციალისტური რეალიზმის ცხოველმყოფელი მეთოდისა, რომლისთვისაც ისევე აუცილებლად საჭიროა ნოვატორული ძიება, როგორც კლასიკური მემკვიდრეობის ტრადიციების დაცვა და განვითარება.

სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე მდგომი ხელოვნება თვალუწვდენელ ასპარეზს სახავს ინიციატივის, ოსტატობის, ფორმისა და სტილის მრავალფეროვნების სრულყოფილად გამოვლენისათვის. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ იდეურობა და მხატვრულობა ერთმანეთისაგან განუყოფელია, რომ ხელოვნება მასებს მხოლოდ მაღალმხატვრულ სახეთა მეშვეობით აწვდის თავის იდეებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ნაყოფიერ მუშაობას უსურვებს საქართველოს მხატვართა VI ყრილობას და მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ საქართველოს სახვითი ხელოვნების ოსტატებს მომავალშიც მაღლი ექნებათ აღმართული მსოფლიოში ყველაზე პროგრესული, ყველაზე მოწინავე საბჭოთა ხელოვნების დროშა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

მხატვართა ფორუმი

19 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობა დაიწყო საქართველოს მხატვართა VI ყრილობამ.

ყრილობა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის საპატიო თავმჯდომარემ უნა ჯაფარიძემ.

სხდომამ აირჩია ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები — საქმიანი პრეზიდიუმი, სამდივნო, სამანდატო და სარედაქციო კომისიები.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. დ. გ. სტურუა. მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება რესპუბლიკის მხატვართა VI ყრილობისადმი.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ზ. ლეჟავამ.

დელეგატებმა მოისმინეს აგრეთვე სარეფერენტო კომისიის მოხსენება, რომელიც თ. სამსონაძემ გააკეთა.

ყრილობამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისასალმებელი დეპეშა მამაცი საბჭოთა კოსმონავტებისადმი — პავლე ივანეს-ძე ბელიაევისა და ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვისადმი, რომელთა კოსმოსური ხომალდი „აისი-2“ სამყაროს სივრცეებს სერავს.

ყრილობაზე გამოვიდნენ თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი, საქართველოს სახალხო მხატვარი ა. ქუთათელაძე, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სპეციალური სამხატვრო-საკონსტრუქტორო ბიროს მთავარი მხატვარი მ. დურგლიშვილი, საქართველოს მხატვართა კავშირის ფერწერის სექციის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ვ. შერბილოვი, საქართველოს მხატვართა კავშირის აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარე, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. ეშბა, საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. მიზანდარი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნების განყოფილების გამგე თ. კანდელაკი, საქართველოს მხატვართა კავშირის აჭარის განყოფილების თავმჯდომარე ლ. სეიდიშვილი, რესპუბლიკის მხატვართა კავშირის სამხატვრო ფონდის მხატვარი ა. ბანძელაძე, მოქანდაკე მ. თალაკვაძე, მხატვარი გ. დოღუზოვი.

სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა, საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრმა, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის პირველმა მდივანმა ბ. ვ. იოგანსონმა საქართველოს მხატვრებს მოსკოველი კოლეგებისაგან გადასცა სალამი და დიდი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვა.

ყრილობას მიესალმნენ საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე, უკრაინის მხატვართა თავმჯდომარე ალ. ხმელნიცკი, ლატვიელი მხატვრების სახელით — ვ. ოზოლი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომართა სახელით — პოლკოვნიკი ბ. გრიდინი, ლატვის მხატვართა სახელით — ლიტვის სსრ მხატვართა კავშირის პირველი მდივანი ი. კუშმინსკუსი, უსტონეთის მხატვართა სახელით — ი. იუსა, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მრავალთასიანი კოლექტივის სახელით — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ფირცხალაავა.

ფოიეში მოწყობილია საქართველოს მხატვართა გამოყენებითი ხელოვნების, გრაფიკისა და პლაკატის გამოფენა.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ ამხანაგები: გ. ა. გეგეჭკორი, მ. ი. კუპავა, ვ. ბ. მეგავანაძე, ჯ. ა. როდონოვი, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუფჩენკო, გ. ხ. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუიძე, ო. ე. ჩერქეზოვი, ა. ნ. ინაური, შ. ა. დოლიძე.

20 მარტს საქართველოს მხატვართა VI ყრილობა განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

არნახული, უმაგალითო გამარჯვება

მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს, ინქინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, ყველა კოლექტივსა და ორგანიზაციას, რომლებიც მონაწილეობდნენ მრავალადგილიანი თანამგზავრი ხომალდით „აისი-2“ კოსმონავტთა ეკიპაჟის ფრენის განხორციელებაში

საბჭოთა კოსმონავტებს

ამხანაგ პავლე ივანეს-ძე ბელიაევს

ამხანაგ ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვს

ძვირფასნო ამხანაგებო, მეგობრებო!

ჩვენი სოციალისტური სამშობლო წარმატებით განაგრძობს კოსმოსის შტურმს. ეს არის დამთავრდა მრავალადგილიანი თანამგზავრი ხომალდის „აისი-2“ კოსმოსური ფრენა. საბჭოთა ხალხისა და მთელი კაცობრიობისათვის ცნობილი გახდა კოსმოსის დამპყრობთა ახალი გმირების — ხომალდის „აისი-2“ მეთაურის კოსმონავტი მფრინავის ამხანაგ პავლე ივანეს-ძე ბელიაევისა და მეორე პილოტის კოსმონავტი მფრინავის ამხანაგ ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვის სახელები.

ხომალდის „აისი-2“ ფრენამ ახალი, განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ფურცელი გადაშალა კოსმოსის ათვისების ისტორიაში. საბჭოთა კავშირში მსოფლიოში პირველად განხორციელდა თანამგზავრი ხომალდიდან ადამიანის გასვლა და მისი თავისუფალი ფრენა კოსმოსურ სივრცეში. ეს რთული, არაჩვეულებრივად გაბედული ექსპერიმენტი განახორციელა კოსმონავტმა მფრინავმა ამხანაგმა ა. ა. ლეონოვმ, ხომალდის „აისი-2“ მეთაურის კოსმონავტი მფრინავის ამხანაგ პ. ი. ბელიაევის მონაწილეობით. ამხანაგმა ა. ა. ლეონოვმა წარმატებით განახორციელა ხომალდის გარეთ დასახული კვლევის კომპლექსი და მშვიდობით დაბრუნდა ხომალდის კაბინაში.

ხომალდის უახლესი საბორტო სპეციალური სატელევიზიო სისტემის საშუალებით ამხანაგ ა. ა. ლეონოვის კოსმოსურ სივრცეში გასვლის პროცესი. მისი მუშაობა ხომალდის გარეთ და დაბრუნება ხომალდში თვალნათლივ დაინახა დედამიწის მილიონობით მცხოვრებმა.

კოსმოსური ხომალდის „აისი-2“ ეკიპაჟმა მთლიანად შეასრულა მეცნიერული კვლევის კომპლექსი. ამ კოსმოსური რიისის მთელი მონაცემები ახალი თვალსაჩინო წვლილია საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერებაში.

ისტორიაში პირველად ადამიანმა კარი შეაღო სამყაროში, იგი გავიდა სამუშაოდ უშუალოდ კოსმოსურ სივრცეში.

მთელი საბჭოთა ხალხი ამაყობს კოსმოსის ათვისებაში ჩვენი სამშობლოს ახალი მიღწევით და კოსმონავტების — ამხანაგების პ. ი. ბელიაევისა და ა. ა. ლეონოვის უმაგალითო გმირობით. კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილმა კოსმონავტებმა გაუძღვნეს კოსმოსში არაჩვეულებრივი ფრენის მთელ სიძნელეებს, ღირსეულად შეასრულეს პარტიისა და მთავრობის დავალება, გაამრავლეს საბჭოთა კავშირის კოსმოსური დიდება.

მხურვალედ გილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო პავლე ივანეს-ძე ბელიაევ და ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვ, თანამგზავრი ხომალდით „აისი-2“ კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებას და საპატიო დავალების შესრულებას, რომელიც დაგაკისრათ საბჭოთა სამშობლომ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ ავრეთვე მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს. მუშებს, მედიცინის მუშაკებს — ყველა ამხანაგს, ვინც მონაწილეობდა უფრო სრულყოფილი მრავალადგილიანი თანამგზავრი ხომალდის „აისი-2“, მისი ახალი სისტემებისა და მოწყობილობის შექმნაში, საბჭოთა კოსმონავტების ეკიპაჟის კოსმოსური ფრენის მომზადებასა და შესრულებაში, მსოფლიოში პირველად კოსმოსურ სივრცეში ხომალდიდან ადამიანის გასვლის განხორციელებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სიხარულით აღნიშნავენ, რომ თანამგზავრი ხომალდის „აისი-2“ ყველა სისტემა და მოწყობილობა, განსაკუთრებით ხომალდიდან ადამიანის გასვლისა და მისი კაბინაში დაბრუნების სისტემა უნაკლოდ მუშაობდა. ამით მთელმა მსოფლიომ კიდევ ერთხელ დაინახა საბჭოთა კოსმოსური ტექნიკის მაღალი დონე და ჩინებული ხარისხი.

დიდება საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, რომლებმაც კოსმოსური სივრცის ათვისების ახალი ჰორიზონტები გადაშალეს!

დიდება კოსმოსის ახალ გმირებს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

ვადიდოთ ჩვენი სოციალისტური სამშობლო შრომითი გმირობით კომუნიზმის გამარჯვებისათვის!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო



ეროვნულ-ეროვნული ბრძოლებით

სკაფანდრიანი კოსმოსში

18 მარტს მთელი მსოფლიო გახდა უდიდესი აღმაფრთოვანებელი მოვლენის მოწმე. ამ დღეს 11 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით კოსმოსურ ხომალდ „აისი—2“-ის ფრენის დროს ადამიანი გამოვიდა ხომალდიდან კოსმოსურ სივრცეში.

ქვემოთ, ვაქვეყნებთ სპეციალისტის — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ე. ი. კრიჩაგინის სტატიას სკაფანდრის შესახებ.

კოსმონავტის სკაფანდრი რთული ინჟინერული ნაგებობაა, რომელსაც აქვს სხვადასხვა მასალისაგან — რეზინის, ლითონის, ქსოვილების, სინთეზური მასალებისა და პლასტმასისაგან დამზადებული ბევრი ნაწილი და კვანძი. სკაფანდრს აქვს გამჭვირვალე ილუმინატორიანი ლითონის მუზარადი, ჰერმეტული კოსტიუმი, რამდენიმე ფენისაგან, რომლებიც სხვადასხვა ამოცანას ასრულებენ, აქვს სპეციალური კონსტრუქციის ხელთათმანი და ფეხსაცმელი. სკაფანდრთან შეერთებულია შლანგები, რომლებიც კოსმონავტს აწვდის ჟანგბადს სასუნთქავად, ჰაერს სხეულის გარშემო სივრცის ვენტილაციისათვის. გარსებს აქვთ სხვადასხვა დანიშნულების სარქველები. სკაფანდრში არის ელექტროქსელიც, რომელიც ემსახურება კავშირის მოთხოვნილებებს, ფიზიოლოგიურ ფუნქციათა გადამწოდების სისტემას და სხვ.

სკაფანდრი თითქოს მინიატურული ჰერმეტული კაბინაა, რომელიც შემცირებულია ადამიანის სხეულის ზომამდე. ამ „კაბინის“ უპირატესობა ის არის, რომ სკაფანდრით შემოსილი ადამიანს შესაძლებლობა აქვს აქტიურად იმოქმედოს, შეასრულოს ხელის სამუშაო, აწარმოოს კვლევა.

წინა გაფრენების დროს როგორც საავიაციო, ისე კოსმოსური სკაფანდრიც გამოყენებული იყო დამატებით საშუალად ოიმე ტექნიკური უწესივრობის ან აეარიული ვითარების წარმოშობის შემთხვევაში. ალბათ, ბევრს უნახავს ტელევიზორების ეკრანებზე, კინოში ან ფოტოსურათებზე, როგორ სხვადან კოსმონავტები ზარადაღილი მუზარადებით: ისინი სუნთქავდნენ კაბინის ჰაერს, ჭამდნენ ბუტერბროდებს, სვამდნენ წყალს. რამდენადაც კაბინაში იყო დედამიწის ატმოსფერული წნევა და ჰაერის შედგენილობა, აგრეთვე ჩვეულებრივი ოთახის ტემპერატურა, შეიძლება ითქვას, რომ ეს პირობები არსებითად ისეთივეა, როგორიც დედამიწის ბინებში.

გასაგებია, რომ როცა სკაფანდრი მინიატურული ინდივიდუალური კაბინა ხდება, შეუძლებელია „მინაური“ პირობების უზრუნველყოფა. არ შეიძლება სკაფანდრის გარსებში შეეკმნათ ატმოსფერული, დედამიწის წნევის თანაბარი წნევა. მაშინ იგი ბურთიკით გაიბერება და ადამიანი გადაიქცევა გაშეშებულ ქანდაკებად, რომელსაც არ შეუძლია ხელ-ფეხის მოღუნვა. მაშასადამე, უნდა შეეამციროთ წნევა, მაგრამ რამდენად? ალბათ, მანამდე, სანამ შემცირებული ბარომეტრული წნევა და ჟანგბადის ნაკლებობა საფრთხეს არ შეუქმნის ჯანმრთელობას, კვლევამ გვიჩვენა, რომ ადამიანის სხეულს გარემომცველი ჰაერის წნევა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, წნევა სკაფანდრში, არ უნდა იყოს 0,4 ატმოსფეროზე ნაკლებოწმე. ამ დღეს 11 საათსა და 30 წუთზე ბი. და მაინც ასეთი სკაფანდრი საკმაოდ გაბერილი იყო ხოლმე სპეციალური გოფრირებული მოწყობილობების უქონლადაც, თუმცა ასეთ სკაფანდრში დამქანცველი იყო.

მაშინ ფიზიოლოგებს მოუვიდათ იდეა: რა იქნება, თუ ორგანიზმს გამოვაცლით ატოტს, სანამ ადამიანი უჰაერო სივრცეში მოხვდებოდესო. აღმოჩნდა, რომ სუფთა ჟანგბადის ხანგრძლივი (საათზე მეტი) სუნთქვის შედეგად მთლიანად „გამოდის“ სხეულის ქსოვილებიდან ატოტი, და მაშინ შეიძლება უშიშრად შეეამციროთ წნევა. სწორედ ასეთი გზით გახდა შესაძლებელი, რომ ადამიანი სკაფანდრში მნიშვნელოვანწილად განთავისუფლდეს იმ შემბოჭავი ეფექტისაგან, რასაც „გაბერილი ბურთიკ ეამერაში“ განიცდის.

ნათქვამიდან ცხადია, რომ კოსმონავტი სკაფანდრში განუწყვეტლივ უნდა მოეგროვებინა სუფთა ჟანგბადი. მაგრამ ამას გარდა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მის სხეულიც უნდა „სუნთქავდეს“, რომ ყოველ საათში მისი ორგანიზმი გარემოს უნდა გადასცემდეს 90_300 კილოკალორიამდე სითბოს, რომელსაც განუწყვეტლივ გამოჰყოფს ორგანიზმი. ეს თუ არა, სხეულის ტემპერატურა თანდათანობით იმატებს და გადახურდება. ეს რომ არ მოხდეს, სკაფანდრს აქვს საგენტილაციო სისტემა, რომლის საშუალებით განუწყვეტლივ იჭირნება ჰაერი ნორმალური, ოთახის ტემპერატურით. ეს ჰაერი იწოვა ორგანიზმის ზედმეტ სითბოს, გამოაქვს სხეულის მიერ გამოყოფილი ტენი.

იმისათვის, რომ ადამიანი კოსმოსში ზედმეტად არ გაათბოს მზის სხივების გარეთა სითბომ ან ზედმეტად არ გაცივდეს, როცა დედამიწის ან კოსმოსური ხომალდის ჩრდილში იქნება, სკაფანდრს გადაფარებული აქვს სქელი თბოსაიზოლაციო ფენა და აქვს ღია ფერის გარეთა საფარი, რომელიც არეკლავს სითბოს სხივებს. სკაფანდრის გარსებში სითბო პრაქტიკულად არ შედის და არ იკარგება. ორგანიზმის მთელი სითბოგაცემა წარმოებს საგენტილაციო სისტემის საშუალებით. უფრო რთულია სხვა, ეგრეთ წოდებული რეგენერაციული ტიპის სკაფანდრების მოწყობილობა. ასეთი სკაფანდრებში განუწყვეტლივ წარმოებს ჰაერისა და ჟანგბადის გარკვეული მარაგის ციკლულაცია. სკაფანდრიდან რეგენერაციული მოწყობილობისაკენ, რომელიც სკაფანდრის ზედაპირზეა მოთავსებული და პირიქით, ნამუშევარი ჰაერი გამოჰყოფს ნახშირორჟანგს და ზედმეტ ტენს, აგრეთვე შეიცავს ჟანგბადის დანაკლისი და გაზები გაცივდება გათვალისწინებულ ტემპერატურამდე.

ასეთი ტიპის სკაფანდრი ყველაზე პერსპექტიულია კოსმოსში ხანგრძლივი მუშაობისათვის, მთვარისა და პლანეტების ზედაპირზე გასვლისათვის.

საბჭოური სკაფანდრმშენებლობა მეცნიერებისა და მრეწველობის თავისებური დარგია, რომელიც საბჭოთა ექიმებმა და ინჟინრებმა შექმნეს, რომელსაც შეეძლია გადაჭრას კაცობრიობის მიერ კოსმოსის ათვისების რთული პრობლემა. (საკდესი).

კოსმოსი! ადამიანი გამოდის ხომალდიდან! ეს სსრ კავშირის მოქალაქე ალექსი ლეონოვი. სურათები გადაღებულია ტელევიზიის ეკრანიდან, რომელიც მილიონობით ადამიანმა ნახა ჩვენს ქვეყანასა და საზღვარგარეთ.

„აისი-2“ კოსმოსში

საკდესის ცნობა

გრძელდება კოსმოსურ ხომალდ „აისი-2“-ის წარმატებით ფრენა. 21 საათზე მოსკოვის დროით ხომალდმა დაამთავრა მერვე გარშემოვლა.

მე-8-მე-13 გარშემოვლის დროს კოსმოსური ხომალდი „აისი-2“ არ გადაუფრენს საბჭოთა კავშირის ტერიტორიას. ხომალდთან რადიოკავშირი იწარმოებს მოკლეტალღიანი დიაპაზონით.

თანამგზავრი ხომალდის ფრენის 11 საათის განმავლობაში მიწისზედა გაზომვათა კომპლექსმა მიიღო დიდი და სასარგებლო ინფორმაცია ხომალდის ფრენის ტრაექტორიისა და ყველა სისტემის მუშაობის შესახებ. გაზომვათა მონაცემებით, ხომალდის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს.

სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის პროგრამით მიღებულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორია რეაქციათა ფიზიოლოგიური თავისებურებანი და მოძრაობის სასიათი კოსმოსურ სივრცეში თავისუფალი გადაადგილების დროს.

ხომალდიდან კოსმონავტებმა მადლობა უთხრეს საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს კოსმოსურ ხომალდ „აისი-2“-ის შექმნისათვის. როცა სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკას გადაუფრინეს, კოსმონავტებმა სალამი გადასცეს კუბის, ლათინური ამერიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებს.

შემდგომი ფრენის დროს ეკიპაჟი შეასრულებს კვლევის პროგრამას, კოსმონავტები რიგრიგობით დაისვენებენ. 19 მარტს 4 საათსა და 14 წუთზე მოსკოვის დროით თანამგზავრი ხომალდი „აისი-2“ მე-13 გარშემოვლის დროს კვლავ გამოჩნდება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მორეულ ადმოსავლეთში.

19 მარტს დილის 5 საათისა და 30 წუთისათვის მოსკოვის დროით კოსმოსურმა ხომალდმა „აისი-2“-მა დაამთავრა მეცამეტე შემოვლა დედამიწის გარშემო.

ღამის განმავლობაში კოსმონავტებს რიგრიგობით ეძინათ. ორივე კოსმონავტმა დაისვენა, ისაუზმა და თავი კარგად გრძნობს. სუნთქვის სიხშირეა 18-20 წუთში, მაჯისცემა — 72-78 წუთში.

კოსმონავტებთან პავლე ივანეს-ძე ბელიაევსა და ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვთან რადიოკავშირის სეანსებმა, აგრეთვე ხომალდიდან მიღებული ტელემეტრიული ინფორმაციის დამუშავებამ, დაადასტურა, რომ ხომალდის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს. წნევა ხომალდის კაბინაში 1-2 ატმოსფეროა, ტემპერატურა — 18 გრადუსი, ცელსიუსით, ტენიანობა — 45 პროცენტი.

განვლილი ღამის მანძილზე მუშაობა ხომალდში მიმდინარეობდა ზუსტად გათვალისწინებული პროგრამის შესაბამისად.

ავსტრალიის კონტინენტზე გადაფრენისას, კოსმონავტებმა სალამი გადასცეს ავსტრალიის ხალხს.

ვაშა მათ!

აუწერელია კოსმონავტების პავლე ბელიაევისა და ალექსი ლეონოვის გმირობა. ისინი მშვიდობით დაბრუნდნენ. მათ სახელი და დიდება მოუპოვეს საბჭოთა ხალხს. ეს სიმამაცე და გმირობა ნიმუშად დარჩება ისტორიაში.

ვაშა საბჭოთა მეცნიერებსა და ტექნიკოსებს!

ნ. კასრაძე,
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

სიხარული, აღტაცება

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ტრიუმფი

ცნობამ იმის შესახებ, რომ 18 მარტს საბჭოთა კავშირში დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე მძლავრი მატარებელი რაკეტით გაეგზავნილია კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი „აისი-2“, უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია რუსთაველის მეტალურგების შორის.

მამაცები

ზემოქედელი კოლმეურნეები საბჭოთა კოსმონავტების ამ ზოპრულმა გმირობამ აღაფრთოვანა, სიამაყის გრძნობით აღავსო მათი გული.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ამ ტრიუმფალურმა გამარჯვებამ ახალი ძალა და ხალისი შემატა ჩვენს მშრომელებს. ისინი ენერგიის დაუზოგავად შრომობენ საგაზაფხულო კულტურების თესვაზე. ვალდებულებას კისრულობენ თესვა ადრეადებში დამთავრონ და წელს მარცვლეულის ოზეი მოსავალი მიიღონ.

მხურვალე სალამი ჩვენს კოსმოსის დამპყრობლებს.

ა. კოტბაიძე,
წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის თავჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.



18 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიულ მოედანზე .ახალი კოსმოსური ხომალდის ფრენაზე დაკვირვებას ახდენენ კოსმოსურ სხეულებზე სათვალთვალო სადგურის უფროსი გ. კვირკველია (მარჯვნივ) და სადგურის ლაბორანტი ა. კერესელიძე.

ფოტო გ. კიკვაძისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ალეგულია კოსმოსის კარი

უდიდესია საბჭოთა ადამიანის სიხარული, მისი სიამაყე ჩვენი მეცნიერების ტრიუმფის, ხალხის კოლექტიური გენიის, შრომისა და გონების გამარჯვების გამო.

საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა ისეთი გრანდიოზული ტემპებით ვითარდება, რომ საბჭოთა ადამიანს აღარ უკვირს საოცრებანი. მაგრამ ის, რაც ამ დღეებში მოხდა, ყოველგვარ ფანტაზიას აღემატება — ადამიანმა დატოვა ხომალდი, გარეთ, კოსმოსში გამოვიდა, შეასრულა კვლევისა და დაკვირვების კომპლექსი და მშვიდობით დაბრუნდა ხომალდში.

ეს ზღაპრად მიუვათ ჩვენს შვილიშვილებს — ასე იტყოდნენ წინათ ადამიანის ხელის რაიმე საოცარ ნაკეთობაზე, ადამიანის რაიმე გმირობაზე. ახლა ეს სხვაგვარად ითქმის, რადგან შვილიშვილები უფრო დიდ საოცრებას ჩაიდენენ — თავისუფლად იმოგზაურებენ კოსმოსში. საამყოა ის, რომ ჩვენი თანამედროვენი, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის წყალობით, გზას უკვლევენ მომავლის ადამიანებს სხვა პლანეტებისაკენ.

ხალხი მხურვალედ ულოცავს კოსმოსის ახალ გმირებს — ბელიაევსა და ლეონოვს სასახელო გამარჯვებას კოსმოსის დაპყრობაში და მშვიდობით დაბრუნებას საბჭოთა მიწაზე.

ნ. ვეკუა,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

მივესალმებით გმირებს!

ჩვენმა ვაჟკაცებმა კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს კოსმოსის ათვისების მატიანეში. „აისი-2“ გაშვება საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი და ბრწყინვალე გამარჯვებაა. მივესალმებით ჩვენს მამაც კოსმონავტებს, სამშობლოს მიწაზე მშვიდობით დაბრუნებულნ! ვაშა მათ!

ვ. აბაევი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. ქ. ცხინვალი.

მთვარე უფრო მოგვიახლოვდა

უკვე მერამდენედ ასახელეს საბჭოთა მეცნიერება შესანიშნავმა საბჭოთა ადამიანებმა, რომლებიც თანდათან იმორჩილებენ კოსმოსს.

საბჭოთა ადამიანებმა, რომლებმაც დედამიწის ორბიტაზე გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „აისი-2“ მოიპოვეს კიდევ ერთი დამარჯვებელი გამარჯვება. პირველად კაცობრიობის ისტორიაში, ადამიანი ხომალდიდან კოსმოსურ სივრცეში გავიდა.

როგორც მედიცინ მე უწინარეს ყოვლისა მაინტერესებს კოსმოსური ფრენის პირობებში სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის შედეგები. ხოლო კოსმოსური ხომალდიდან მეორე პილოტის, კოსმონავტი მფრინავის პოდპოლკოვნიკ ალექსი ლეონოვის გასვლა მედიკებს მისცემს ახალ დიდმნიშვნელოვან მონაცემებს კოსმოსში არსებობის პირობებზე ადამიანის ორგანიზმის რეაქციის შესახებ. ეს არის ახალი წინგადადგმული ნაბიჯი კოსმოსური მედიცინისა და ბიოლოგიის დარგში.

უეჭველია, რომ შესანიშნავი საბჭოთა კოსმონავტების პავლე ბელიაევის და ალექსი ლეონოვის გმირობამ მნიშვნელოვნად მოგვიახლოვა ის დრო, როცა საბჭოთა ადამიანი გაფრინდება მთვარეზე და ფეხს დადგამს უახლოეს პლანეტაზე.

ნ. ანთელავა,
ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ტრიუმფი

ეს არის არა მარტო საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის ტრიუმფი, არამედ მთელი პროგრესული კაცობრიობის ტრიუმფიც.

კოსმოსში „აისი-2“ გაფრენასთან და კავშირებით რუსთაველი მეტალურგებს პირობას ვდებთ კიდევ უფრო ენერგიულად ვიშრომოთ და საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ გამოვადნოთ მეტი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი.

გ. ბერეკაშვილი,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ვარსკვლავეთისაკენ მიმავალი საფეხურები

შეიძლება ითქვას, ყველაზე კარგად თავისი პარტნიორი ალექსი ლეონოვმა დაახასიათა. აი რა თქვა მან: „პაშა ძალიან საზრიანი ბიჭია. მძიმე გზა განვლო. სამართლიანი და კეთილი. ასეთი კაცის იმედი ყოველთვის შეგიძლია იქონიო: არ გიმტყუნებს. აი ამ კაცის საუკეთესო თვისებები: პატიოსნება, თავმდაბლობა, კეთილშობილება... და კიდევ... ერთიბეწო პატივმოყვარეობა არა აქვს“.

პავლე ივანეს-ძე ბელიაევის ბიოგრაფია სრულიად ჩვეულებრივია: სწავლობდა სკოლაში, მუშაობდა ხარატად, სწავლობდა საავიაციო სასწავლებელში... შემდეგ კი ცა. ცასთან არის დაკავშირებული მისი ცხოვრების ოცი წელი. ზეცას სერავდა სხვადასხვა ტიპის — დგუშიანი თუ რეაქტიული თვითმფრინავებით. თითოეული თვითმფრინავი თავისებურად რთული იყო, თავისებური „ხასიათი“ ჰქონდა. ეთასი საათი გაატარა მან ცასთან პირისპირ...

...ომის პირველ დღეებშივე ბელიაევი სამხედრო კომისარიატში მივიდა და განაცხადა, რომ ციმბირელთა ან ურალელთა მოთხილამურეების რაზმში სურს ჩაეწეროს. არ წაიყვანეს თექვსმეტი წლის პავლე... ხოლო როცა სამხედრო სამსახურში წასვლის დრომ მოაწია, ავიაცია აირჩია. „მიიზიდა. მოხიბლა ზეცამ“. მას მშვენივრად ესმოდა, რომ დიდი ცისკენ მიმავალი გზა ეს არის „ჩვეულებრივი“ აფრენისა და დაჯდომის, წრიული და ზონაში „ჩვეულებრივი“ ფრენის გრძელი კიბე. თანდათანობით, ნელ-ნელა უნდა მიეცოცავდე ზევით, რომ ნამდვილი მფრინავი გახდე.

ორმოცდახუთ წელს 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღეს მან კურსანტის ნიშნების ნაცვლად ოფიცრის სამხრეულები გაიკეთა. დანიშნულების ადგილზე მიმავალი გზა მთელ ჩვენ ქვეყანაზე გადიოდა — დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, სამხრეთის ზღვებიდან წუნარი ოკეანის ნაპირებამდე.

ხასიათი ყოფაქცევაში იჩენს თავს

ნაწილში ყურადღება მიიპყრო. გატაცებით, ზუსტად დაფრინავს, კარგად იცის ტექნიკა და გამოყენების უნარიც შესწევს. აი მისი ნამსახურობის ნუსხა: მფრინავი, უფროსი მფრინავი, ესკადრილიის მეთაურის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში, შემდეგ საფრენოსნო ნაწილში...

ხასიათი? ამის სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია. ხასიათი ყოფაქცევაში იჩენს თავს.

ერთხელ, როცა თვითმფრინავი ზღვაზე მიფრინავდა, პავლემ იგრძნო, რომ მანქანა ძირს ეშვებოდა. ასე ხდება. როცა მოტორი სუსტად მუშაობს. ხელსაწყოები ბრუნვების შემცირებას აღნიშნავდნენ. იქ, საოცენაც თვითმფრინავი მიეჭიროდა, წყალი იყო. გარშემო არ იყო არც მოედანი იძულებითი დაშვებისათვის, არც სათადარიგო აეროდრომი...

ერთადერთი გამოსავალი დარჩა — აემოქმედებინა სათბობის მიმწოდებელი ხელის ტუმბო. თითქოს ჩვეულებრივი გადაწყვეტილებაა. მაგრამ ამა სცადეთ ერთი ხელით ტუმბვა, ხოლო მეორეთი ავიაგამანადგურებლის მართვა. როცა წყლამდე ორასი მეტრიც არ არის. ტუმბვა საჭიროა სწრაფად და დიდხანს. გეყოფა თუ არა ძალა? გეყოფა თუ არა ამტანობა? ეყო. იგი მიფრინავდა და თან ტუმბავდა.

როცა ბელიაევმა აეროდრომზე მიიყვანა თვითმფრინავი, დაბეუებულ ხელს ვერ ანძრევდა. მაგრამ არავისთვის შეუმჩნევიანებია.

პავლეს ამბანაგებს — კოსმონავტებს ახსოვთ ასეთი ამბავი. ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა, მათი გაცნობისას, როცა ისინი ის-ის იყო იწყებდნენ ფრენას და ეუფლებოდნენ „სარეუმის ოთახს“. ამ ოთახში ერთ-ერთი პირველი წავიდა ბელიაევი — ჯგუფის ზემდგი... გამოცდილი მფრინავი, წინათ ხომ ესკადრილიას მეთაურობდა, ცხოვრებით წრთობილია ამხანაგებთან, ურთიერთობაში მუდამ დინჯი და მშვიდია. ხშირად დუმს, მაგრამ როცა ხმას ამოიღებს, ყურადღებით უსმენ.

...ზოგიერთებზე ამბობენ, დაღლა არ იცისო ცხოვრების გზაზე. შეუპოვრად, მტკიცედ, ტემპის შეუნელებლად მიიწევენ ისინი დიდი ხნის წინათ დასახული მიზნისაკენ. მათ კარგი საკიუტე ახასიათებთ. და ის, რომ ბელიაევს კოსმოსური ხომალდის მართვა მიანდეს ამ ფრენის დროს, სრულიადაც არ არის არც იღბალი, არც შემთხვევითობა. მან შეუპოვარი შრომით მოიპოვა ამ გაფრენის უფლება. და ეს საფეხური ზეცისაკენ მომავალ კიბეზე, ალბათ, უკანასკნელი არ არის მისთვის.

მ. ფედოროვი.
(საკდესი).

ადამიანი კოსმოსში

რეპორტაჟი „აისი-2“-ის სტარტის შესახებ

ამ დღეებში კოსმოდრომის სასტარტო მოედნებზე ხშირად დაინახავდით მოცისფრო ფარაჯებში გამოწყობილ ადამიანებს — კოსმონავტებს: იური გაგარინს, ვლადიმერ კომაროვს, პავლე ბელიაევსა და ალექსი ლეონოვს. ისინი ერთად ადიოდნენ ლიფტით ხომალდ „აისი-2“-ის კაბინასთან. ფასდაუდებელია ვეტერანთა რჩევა! ამასთან გაგარინი და კომაროვი თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, მეცნიერებთან, ინჟინრებთან, კონსტრუქტორებთან და ექიმებთან ერთად ამზადებდნენ ბელიაევსა და ლეონოვს რთული მეცნიერული ექსპერიმენტისათვის დედამიწის ირგვლივ სივრცეში.

— ახალმა მეცნიერულმა ამოცანამ, — უთხრა ჟურნალისტებს სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ, — კოსმონავტებისაგან ჩვეულებრივი მომზადების გარდა მოითხოვა აგრეთვე დამატებითი მომზადება. პავლე ბელიაევმა და ალექსი ლეონოვმა ბევრი პირობითი ფრენა განახორციელეს. მათ საგულდაგულოდ დაამუშავეს ხომალდის კაბინის გარეთ ადამიანის გასვლის ელემენტები. კოსმოსში კოსმონავტის გასვლის ექსპერიმენტი უწონობის პირობებში მიმდინარეობს. ამიტომ წვრთნა წარმოებდა ერთერთ თვითმფრინავში, რომელიც სპეციალურად იყო მოწყობილი ამ მიზნისათვის.

...ბელიაევს, როგორც ეს უკვე შენიშნეს კოსმოდრომზე ჩამოსულმა ჟურნალისტებმა, არ უყვარს ბევრი ლაპარაკი. ხიმშვიდითა და დინჯი ქცევით იგი ანდრიან ნიკოლაევს მოგვაგონებს. მაგრამ, აი, შემთხვევით საუბარი შეეხო ვოლოგდას, და პავლე უცებ გამოცოცხლდა.

— იქ დავიბადე. რა ტყეებია! ეჰ, დიდი ხანია არ ვყოფილვარ მშობლიურ მხარეში. იქ ბევრი მეგობარი მყავს.

— და ყველა თქვენსავით სიტყვაძვირია?

— შეიძლება ითქვას, რომ ჰო. მიდიხართ შენ და შენი მეგობარი ტყეში სანადიროდ, საათობით ხმას არ ამოიღებ. სიჩუმეა...

— როგორც კოსმოსში?

— არ ვიცი. ჯერ არ ვყოფილვარ.

სანამ პავლე ბელიაევს ვესაუბრებოდი, ჩემმა კოლეგებმა შეკითხვები დაუყარეს ალექსი ლეონოვს. იგი ხან ხერიოზულად უპასუხებდა, ხან ხუმრობით. ალექსის უყვარს ხუმრობა. იგი და იური გაგარინი დიდი ხნის მეგობრები არიან. როცა ეს ორი ენამახვილი კოსმონავტი მეგობრულად იწყებენ ერთმანეთის გაკილვას, მათ გარშემო ჩვეულებრივ თავს იყრიან თანამოლაქელები.

...ამას წინათ საკდესში მოვიდა პატარა ამანათი. შიგ აღმოჩნდა რამდენიმე აქვარელი. მათი ავტორია კატია პავლოვსკაია კიშინიოვიდან. ამ ექვსი წლის მხატვარმა გვთხოვა მისი ნახატები გადაგვეცა „ძია კოსმონავტებისათვის“. ნახატები გადავეცი ალექსი ლეონოვს— სატირიკულ ჟურნალ „ნეპტუნის“ უცვლელ რედაქტორსა და მხატვარს.

— ეს ხომ მთელი კოსმოსური სუიტაა! შეხედეთ, რამდენი ფანტაზიაა ამ ნახატებში, — წამოიძახა ალექსიმ და ნახატები მეგობრებს გადასცა. — კატიუშას უთხარით, რომ ძალიან მოგვეწონა მისი ნახატები. ჩემს ჟალიშვილს ვიკას ვუჩვენებ, მასაც უყვარს ხატვა.

...სტარტის წინ, ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ დგამდნენ სასტარტო მოედანზე მრავალსაფეხურიან რაკეტას. ნელა, ფრთხილად ასწიეს იგი ამწე მექანიზმებმა და დადგეს სასტარტო მოწყობილობაზე. ნიავი არხევდა წითელ ლენტებს, რომლებიც რაკეტის კორპუსის სხვადასხვა ნაწილზე ფრიალებს. ამ ლენტებით აღნიშნულია ობიექტები, რომლებსაც სჭირდება უკანასკნელი, განსაკუთრებული შემოწმება, სასტარტო რაზმის წევრთა უურადღება...

მივდივართ საკომანდო ბუნკერში.

— სად არის გასაშვები ქნოპი?

— აი ისიც.

პატარა პულტზე დავინახეთ შაურიანზე ცოტა მოდიდო ქნოპი. იგი მუქი ფერისაა.

— შეგიძლიათ თითი დააჭიროთ.

ჩემს შემდეგ რაკეტას „უშვებენ“ ჩემი კოლეგები...

...ჩვენ, უურნალისტებს, ნება დაგვრთეს დავათვალიეროთ ხომალდის კაბინა. ავედით ლიფტით, ჩვენ გვხვდება წამყვანი კონსტრუქტორი. შევიხედეთ „კოსმოსურ ბინაში“. იგი დიდი არ არის.

— ამ საძრომიდან გამოვა ალექსი ლეონოვი კოსმოსში?

— დიახ.

...გაფრენის წინ მთელ ღამეს თოვდა. ველი გათეთრდა. კოსმოსური ხომალდის წვერზე, მოედნის ლითონის ჩამწვნე თოვლის ქუდები მოჩანს. ეს არის— ქარბუქის მიერ დატოვებული კვალი.

თითქოს ბუნებას შეუთანხმდნენო პავლე ბელიაევი და ალექსი ლეონოვი: მათი სკაფანდრებიც ღია ფერისაა, მხოლოდ ჰერმეტულ მუზარადზე „სსრ კავშირი“ წარწერილია ღია წითელი ფერით. კოსმოსური ტანსაცმლის ერთერთმა შემქმნელმა აგვიხსნა, რომ სკაფანდრის ასეთი ფერი იცავს კოსმონავტებს სითბური გამოსხივებისაგან.

...კოსმონავტები აუჩქარებლად მიდიან დათოვლილ ფილებზე. ხომალდის მეთაური პავლე ბელიაევი მოკლედ მოახსენებს სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარეს, და აი მფრინავებს ეხვევიან კონსტრუქტორები და მეცნიერები. მეგობრებს მსურვალედ ეხვევიან იური გაგარინი, ვლადიმერ კომაროვი და ბორის იგოროვი. გაისმის შეძახილები — „გისურვებთ ბედნიერ სტარტს!“, „წარმატებით იფრინეთ!“ „გამარჯვებული დაბრუნდით!“.

— ძვირფასო ამხანაგებო! — მიმართავს დამსწრეთ პავლე ბელიაევი. მისი მოკლე სიტყვა სიმშვიდით, დამჯერებლობითაა გამსჭვალული. — სამშობლოს დავალება შესრულებული იქნება! — ამბობს „აისი-2“-ის მეთაური.

... დაიწყო ნახევარსაათიანი მზადყოფნა; ხომალდის სტარტამდე 20 წუთი ღარჩა.

აი გამოაცხადეს ბუთწუთიანი მზადყოფნა!

— მე ვარ „აისი!“ გაისმის მთავარი კონსტრუქტორის ხმა. — ჩვენთან ყველაფერი კარგადაა. ყველაფერი გეგმით კეთდება. როგორ გრძნობთ თავს?

— მე ვარ „ალმასი“. თავს შესანიშნავად ვგრძნობ — უპასუხებს პავლე ბელიაევი. — სტარტისათვის მზად ვართ.

სპორტული კომისრის ივანე ბორისენკოს წამსაზომის ისრები უახლოვდებიან დილის 10 საათს.

— გაშვება!

რაკეტა მთელი ძალით მოწყდება და მიემართება ზევით. იგი არღვევს ღრუბლების ტყვიისფერ ფენას კოსმოდრომზე და ცაში მიდის.

„აისი-2“-მა დაიწყო დედამიწის გარშემო თავისი პირველი შემოვლა!

მალე ყველა იგებს ახალ ამბავს:

— ლეონოვი კოსმოსში გავიდა. მთავარი ამოცანა შესრულებულია!

გვაგონდება კ. ე. ციოლკოვსკის სიტყვები: „შიშსა გვგვრის ეს სრულიად შეუზღუდავი უფსკრული, სადაც არ არის გარშემო ჩვეული საგნები, სადაც ფეხქვეშ არ არის მიწა, არ არის მიწიერი ზეცაც...“

საბჭოთა ადამიანი პირველი გამოვიდა ხომალდის კაბინიდან, პირველი ნაბიჯი გადადგა კოსმოსში!

კოსმოდრომი ბაიკონური, 18 მარტი.

ა. რომანოვი,
საკდესის სპეც. კორესპონდენტი.

ს ს ს რ ა ს ა ბ ჭ ო თ ა ფ ო ტ ო ფ ა ნ ჯ ა ლ ი

ზევით — პავლე ივანეს-ძე ბელიაევი თავის ჭალიშვილ ირინასთან; ქვევით — ლეონოვის გოგონას პატარა ვიქტორიას უყვარს, როცა მამიკო სალამოობით ზღაპრებს უკითხავს.

ფოტო ვ. ბაზანოვისა და ბ. სმირნოვისა.

საშიშია თუ არა მეტეორიტებთან შეხვედრა?

შეუძლია თუ არა პილოტს გამოვიდეს კოსმოსური ხომალდიდან ფრენის დროს და შეასრულოს მეცნიერული მუშაობა? ასეთი ამოცანა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ფანტასტიკურად გვეჩვენებოდა, განახორციელა ხომალდ „აისი-2“-ის ეკიპაჟმა. საკდესის კორესპონდენტმა სთხოვა ცნობილ საბჭოთა გეოფიზიკოსს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს ვ. ვ. ფედინსკის გამოეთქვა თავისი აზრი ამ ფაქტზე.

— ძნელია გადაჭარბებით შეაფასო გაბედული მეცნიერული ექსპერიმენტი — ადამიანის გამოსვლა ხომალდიდან კოსმოსურ სივრცეში, — თქვა მეცნიერმა. — მთელი ისტორიის მანძილზე პირველად ჩვენი პლანეტის ადამიანმა უშუალო ურთიერთობა დამყარა მზის სისტემის გამოუკვლეველ სივრცესთან და სამეცნიერო დავალებათა კომპლექსი შეასრულა.

რა შეიძლება შეხვედროდა კოსმონავტ მფრინავს დედამიწის ატმოსფეროს გარეთ?

— ჩვენს პლანეტას, როგორც ცნობილია, გარს აკრავს მეტეორიტული მტვრის ულარმაზარი ღრუბლები, რომლებიც მრავალ ათას კილომეტრზეა გადაჭიმული. ამ თავისებური „კოსმოსური მტვლის“ ღრუბლები დედამიწის მიზიდულობის შედეგად მუდამ თან ახლავს ჩვენს პლანეტას სამყაროში მოძრაობის დროს. ამ ნაწილაკების სიჩქარე დედამიწის მიმართ დიდი არ არის, ამიტომ მათი ზემოქმედების ენერგიაც, როგორც ჩანს, უმნიშვნელოა.

„აისი-2“-ის ეკიპაჟის წარმატებითი ექსპერიმენტი კოსმოსში და მიღებული მასალების შემდგომი დამუშავება დაგვეხმარება უკეთ განვაზოგადოთ ჩვენი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებენ მეტეორიტები ადამიანის თავისუფალ ფრენაზე. მაგრამ ახლავე შეგვიძლია ვილაპარაკოთ ხომალდის გარეთ ადამიანის ყოფნის პერსპექტივებზე და კოსმოსურ სივრცეში მის სასარგებლო საქმიანობაზე.

მთვარის გარშემო სივრცეში უფრო ნაკლებად არის მეტეორიტული მტვერი. ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ პლანეტასთან მიახლოვებისას უმცირესი მყარი ნაწილაკების გუნდებთან შეხვედრის რეალური საფრთხე ნაკლები იქნება.

მოძრაობის დროს დედამიწა მზის სისტემის სივრცეში პერიოდულად ხვდება მეტეორიტული სხეულების მეორე, უფრო მძლავრ სარტყელს. კოსმოსური ხომალდის „აისი-2“-ის ფრენა შეთანხმებულია იმ პერიოდთან, როცა დედამიწა შორს არის ამ მეორე მეტეორიტული სარტყელისაგან, რომელიც საშიშია თავისი ნაკადის ზემოქმედებით.

საკდესის ცხოვრება

მ ს ო ფ ლ ი ო ა ლ ტ ა ც ე ბ ა ულია

ბ ულ გ ა რ ე თ ი. საბჭოთა მეცნიერების, კონსტრუქტორების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მუშების, მთელი საბჭოთა ხალხის პრაწყინვალე ტრიუმფი კვლავ იწვევს ჩვენი ედამიწის ყველა ადამიანის აღტაცებასა და აღფრთოვანებას, ხაზგასმით აღნიშნავს მოწინავე სტატიაში ბულგარეთის გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“.

ჩ ე ხ ო ს ლ ო ვ ა კ ი ა. ჩეხოსლოვაკიელი მეცნიერები და გაზეთების მეცნიერი მომხსენებლები აღნიშნავენ, რომ ახალი უმაგალითო კოსმოსური ექსპერიმენტი მოწმობს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდავო პირველობას კოსმოსური სივრცის კვლევაში.

საბჭოთა მეცნიერებმა, აღნიშნავს გაზეთი „რუდე პრავო“, მსოფლიოს მატიანეში ჩაწერა ახალი ისტორიული გმირობის ამბავი. ის, რაც გუშინ მხოლოდ მეცნიერული ჰიპოთეზა და ფანტაზია იყო, დღეს სინამდვილედ გადაქცა. ახალი კოსმოსური ექსპერიმენტი საბჭოთა მეცნიერების, მართლიანად იმსახურებს დიდებასა და მთელი მსოფლიოს პატივისცემას.

გ დ რ. „საბჭოთა ადამიანები პირველნი არიან სამყაროს ათვისების გზაზე. სოციალიზმის ეპოქა კაცობრიობას უსასვავს ისეთ პერსპექტივებს, რომლებიც წარმოუდგენელი იყო წარსულ საზოგადოებრივ ფორმაციათა ადამიანების გონებისათვის“, — წერს გაზეთი „ნაციონალ-ცაიტუნგი“.

„აღტაცებული ვართ სიზუსტის გამო, რომ ლითაც განახორციელეს მსოფლიოში ეს პირველი ექსპერიმენტი საბჭოთა მეცნიერებმა, ინჟინრებმა, მუშებმა და კოსმონავტებმა“, — ნათქვამია „ნოიეს დოიჩლანდის“ მოწონავე სტატიაში.

ჩ ი ნ ე თ ი ს ს ა ხ ა ლ ხ ო რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა. პეკინის გაზეთებმა „ჟენმინ ჟიბაომ“, „დაგუნ ბაომ“ და „ბეიინ ჟიბაომ“ გამოაქვეყნეს სინხუას სააგენტოს მოსკოველი კორესპონდენტის მოკლე ცნობა, რომ საბჭოთა კავშირში გაუშვეს კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი „აისი-2“.

ა შ შ. „რუსი დაცურავს კოსმოსში!“, „პირველი ნაბიჯი მთვარისაკენ“, „რუსეთი ძალიან დაწინაურდა!“ — ნათქვამია ამერიკის გაზეთების ვებერთელა სათაურებში.

„პოდპოლკოვნიკ ალექსი ლეონოვის კოსმოსური აკრობატიკა აღმაფრთოვანებელი და ისტორიული იყო, — წერს სარდაქციო სტატიაში „ნიუ-იორკ ტაიმსი“. — იგი მამაცი ადამიანია, რომელიც იმსახურებს უადრესად მხურვალე მილოცვას იმ მეცნიერებთან და ტექნიკის სპეციალისტებთან ერთად, რომელთა მეოხებით შესაძლებელი გახდა მისი მიღწევა“.

ამერიკელი მიმომხილველები გამოხატავენ აშკარა იმედგაცრუებას იმის გამო, რომ შეერთებული შტატები კვლავ ჩამორჩებიან.

საბჭოეთის ცხოვრება

ლენინის ფრანგული ინგლისში

ლონდონი, 19 მარტი. (საკდესი). გამომცემლობა „ლოურენს ენდ უიშარტმა“ ინგლისურ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის რჩეულ თხზულებათა 21-ე და 22-ე ტომები. ამ გამოცემებში შედის „იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ და ვ. ი. ლენინის ნაშრომები, დაწერილი პირველი მსოფლიო ომის პერიოდში.

შეხვედრები ლონდონში

ლონდონი, 19 მარტი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო შეხვდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ჰ. ვილსონს. საუბრის დროს შეეხნენ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს და საგანგებოდ ინგლისის ურთიერთობის საკითხებს.

საუბარს გულახდილი და მეგობრული ხასიათი ჰქონდა.

ლონდონი, 18 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ 18 მარტს მიიღო ინგლისის კონსერვატიული პარტიის ლიდერი სერ ალეკ დუგლას-ჰიუმი. საუბარი ეხებოდა მთელ რიგ საერთაშორისო საკითხებს და საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ურთიერთობის განვითარებას.

რ. კასტრო ვარშავაში

ვარშავა, 19 მარტი. (საკდესი). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით დღეს ვარშავაში ჩამოვიდა კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის მეორე მდივანი, კუბის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი რაულ კასტრო რუსი.

პარტიზანთა მოქმედება

კარაკასი, 19 მარტი. (საკდესი). ლარის შტატში მოხდა ახალი შეტაკებანი პარტიზანებსა და მთავრობის ჯარებს შორის. დაზოგილია 8 და დაჭრილია რამდენიმე ჯარისკაცი.

აგუა ამარილიის დასახლებულ პუნქტში პარტიზანებმა ტყვედ წაიყვანეს ლეიტენანტი და სამი ჯარისკაცი. პარტიზანთა მეორე ჯგუფმა იერიში მიიტანა სამხედრო საგუშაგოზე ვინიანუევაში.

ნადავლი სამხრეთვიეტნამელი პარტიზანების არსენალის შევსების ძირითადი წყაროა. სურათზე: ნადავლი ნაღმსატყორცნები.

კვლავ თავდასხმა

ჰანოი, 19 მარტი. (საკდესი). დღეს ამერიკის ავიაცია, უკანასკნელი ხუთი დღის მანძილზე უკვე მეორედ, თავს დასცხა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ნგე ანის პროვინციას.

კატრიოტთა წარმატებანი

ჰანოი, 19 მარტი. (საკდესი). სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა გაათავისუფლეს სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიის სამ მეოთხედზე მეტი, რომლის მოსახლეობა 8 მილიონს შეადგენს.

1961 წლიდან 1965 წლის 1 მარტამდე სამხრეთ ვიეტნამის სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 512 ათასი ჯარისკაცი, აქედან დახოცეს 341 ათასი, ამავე პერიოდში მოსპეს 4.366 ამერიკელი ჯარისკაცი.

ეს მონაცემები მოყვანილია ცნობაში, რომელიც დღეს გაზეთმა „ნიან ზანმა“ გამოაქვეყნა. ამავე პერიოდში, დასძენს გაზეთი, სამხრეთ ვიეტნამის სახალხო შეიარაღებულმა ჯარებმა ჩამოაგდეს და დააზიანეს 2 ათასზე მეტი ამერიკული თვითმფრინავი, ჩაძირეს და დააზიანეს 900 სამხედრო ხომალდი. დაგრეულია ყველა „სტრატეგიული დასახლების“ 80-ზე მეტი პროცენტი.

გაზეთი წერს აგრეთვე, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ამერიკელთა შეიარაღებული პროვოკაციის შემდეგ — გასული წლის აგვისტოდან — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის ქვეგანაყოფებმა ჩამოაგდეს ამერიკელთა 50 თვითმფრინავი, ჩაძირეს და დააზიანეს 7 სამხედრო ხომალდი, ტყვედ ჩაიგდეს სამი ამერიკელი მფრინავი.

ცნობა გეორგე გეორგიუ-დეჟის ავადმყოფობის შესახებ

ბუქარესტი, 18 მარტი. (საკდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა სამედიცინო ბიულეტენი ამხანაგ გეორგე გეორგიუ-დეჟის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

„რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ გეორგე გეორგიუ-დეჟს, ნათქვამია ბიულეტენში, აქვს ფილტვების დაავადება რომელიც ამ ბოლო დროს გართულდა გეპატიტის (სიყვითლე და ღვიძლის ნაკლებობა) მოვლენათა შედეგად.

წარმოებს შესაბამისი მკურნალობა“.

ბუქარესტი, 19 მარტი. (საკდესი). აჯერ პრესის სააგენტომ გამოაქვეყნა სამედიცინო ბიულეტენი ამხანაგ გეორგე გეორგიუ-დეჟის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ბიულეტენში ნათქვამია:

„რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გეორგე გეორგიუ-დეჟის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ უარესდება სიყვითლის გაძლიერებისა და ღვიძლის ნაკლოვანების გამო.

გარდაიცვალა გ. გეორგიუ-დეჟი

ბუქარესტი, 19 მარტი. (საკდესი). დღეს აქ 17 საათსა და 43 წუთზე ადგილობრივი დროით მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე გეორგე გეორგიუ-დეჟი.

შეწყდეს დაგომგვა!

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა—ლაოსის შესახებ ჟენევის 1962 წლის თანხმობის თანათავმჯდომარემ მიიღო ლაოსის კოალიციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილის, ნეო ლაო ხაკსატის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის პრინც სუფანუვონგის ამა წლის 23 თებერვლის წერილი, რომელშიც გამოთქმულია პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის თვითმფრინავები ბომბავენ და ცეცხლს უშენენ ლაოსის ტერიტორიას. პრინც სუფანუვონგის წერილი საბჭოთა თანათავმჯდომარის სახელით დაეგზავნა ლაოსის შესახებ ჟენევის 1962 წლის შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს.

წერილში უყრადღება ეთმობა ამასწინანდელ აგრესიულ აქტებს, რაც ამერიკელმა იმპერიალისტებმა ჩაიდინეს ლაოსის წინააღმდეგ. განუწყვეტელ დაბომბვასთან ერთად ამერიკელებმა და მათმა დამქაშებმა გააძლიერეს საქმიანობა, რომ განთავისუფლებულ რაიონებში გაგზავნონ კომანდოსთა მრავალრიცხოვანი კარგად შეიარაღებული ჯგუფები, რათა მუდმივი მერყეობის ვითარება შექმნან იქ.



ლ. ჯონსონის განცხადება

ნიუ-იორკი, 19 მარტი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ, თუ ალაბამის შტატის გუბერნატორს უოლეს უნარი არ შესწევს ან არ სურს გამოიყენოს შტატის ეროვნული გვარდია სელმიდან მონტგომერიში განზრახული მარშის მონაწილეთა უშიშროების უზრუნველსაყოფად, მაშინ პრეზიდენტს შეუძლია ამ მიზნით ფედერალურ კონტროლს დაუქვემდებაროს ეროვნული გვარდია. უოლესის განკარგულებაშია 10 ათასზე მეტი გაწვრთნილი ეროვნული გვარდიელი, რომლებიც მას შეუძლია გაიწვიოს, თქვა ჯონსონმა.

ჯონსონმა განცხადება გააკეთა მას შემდეგ, რაც ალაბამის შტატის საკანონმდებლო ორგანომ უოლესის ინიციატივით დაგმო განზრახული დემონსტრაცია და სცადა თავიდან აიცილებინა ყოველგვარი პასუხისმგებლობა დემონსტრაციის მოწაწილეთა უშიშროების უზრუნველყოფისათვის, თუ მათ თავს დაესხმიან რასისტები. უოლესმა თქვა, ეს ამოცანა ფედერალურმა ხელისუფლებამ უნდა იკისრონო.

მორზე აკრიტიკებს

ვაშინგტონი, 19 მარტი. (საკდესი). პენტაგონი „ცხადზე უცხადესია აპირებს ჩაგვთრიოს ფართო ომში აზიაშიო“, განაცხადა გუშინ კაპიტოლიუმში სენატორმა უეინ მორზემ. მან მკვეთრად გააკრიტიკა ვიეტნამის ეგრეთ წოდებული „პრევენტიული ომის“ მომხრეები და თქვა, რომ ასეთი ომი მოასწავებს „მესამე მსოფლიო ომს“.

ინფორმაციის ცენტრი

კოსმოსში მფრინავი ადამიანის სამშობლოში

კუზნეცკის ქვანახშირის აუზი — ზღაპრულ ბუნებრივ სიმდიდრეთა მხარე, კოსმოსში მფრინავი პირველი ადამიანის სამშობლო— ტყეს უკრავს ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვს. მისი დარიანა და დისწული სვეტლანა, რომელიც კემერეოვოში ცხოვრობენ, მღელვარებით გვთხოვენ სიყვარულის, აღტაცების სიტყვები გადაცეთ ნომალდ „აისი-2“-ს და უსურვებენ კოსმონავტებს უმაგალითო ფრენის კარგად დამთავრებას.

ჩაიკოვსკის ქუჩაზე არის სახლი, სადაც ბავშვობისა და მოწაფეობის წლები გაატარა კოსმონავტმა. ლეონოვების ყოფილი ბინის ფანჯარასთან დგას უზარმაზარი ალვის ხე. ეს ხე „კოსმოსში მოლიცლივე კაცის“ ხეა — ასე ამბობენ ახლა აქ. მრავალი წლის წინათ იგი დარგო შვიდი წლის „ლენიკმა“ და შემდეგ სათუთად უვლიდა. ალექსი მაშინ კემერეოვოს 35-ე სკოლაში სწავლობდა.

და იგონებს ალექსის ბავშვობის წლებს, გვიჩვენებს ლეონოვების დიდი მშრომელი ოჯახის უამრავ ფოტოსურათს. — ალიოშა არ ყოფილა გუნდერკინდი, მაგრამ ერთნაირად და წარმატებით სწავლობდა ძირითად საგნებს, — ამბობს კოსმონავტის და. — გატაცებული იყო ხატვით, რომელსაც წარმატებით უწვევდა მეტოქეობას ველოსიპედი და ჰოკეი. ალექსი არაერთხელ გამოსულა სპორტულ გუნდებში, იცავდა სკოლის ღირსებას.

კემერეოვში ათობით ოჯახი იცნობს ალექსი ლეონოვს.

...კემეროვოდან სამას კილომეტრზე გადაჭიმულია ციმბირის პატარა სოფელი ლისტვიანკა. აქ, კოლმეურნე მეცხოველის არქიპო ლეონოვის ოჯახში, დაიბადა და პირველი სამი წელი გაატარა პატარა ბიჭმა ალიოშამ. ცნობამ თანასოფლელის უმაგალითო ფრენის შესახებ ამ მორეულ კუთხეშიც მიაღწია. მმ წლის კოლმეურნემ ანდრია სლოვდრიკოვმა თქვა:

— კარგად მახსოვს ალექსის მშობლები. მისი მამა, არქიპო ალექსის-ძე ჩვენთან ბრიგადირად მუშაობდა, სარძეო - სასაკონლო ფერმას განაგებდა. საარტელო კაცი იყო! სულითა და გულით გვიხარია და შვენატრით, რომ მან ასეთი გაბედული და უშიშარი პატრიოტი აღზარდა.

ლისტვიანკაში, სადაც XXII პარტყრიელობის სახელობის კოლმეურნეობის ცენტრალური კარმიდამოა, დღეს ნამდვილი დიდი დღესასწაულია.

ახლა დადგა გაზაფხულისათვის მზადების გადამწყვეტი დღეები, თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ს. კადირნიკოვმა. ჩვენში მოლიანად შეკეთებულია ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. სანიმუშოდ გვაქვს მომზადებული თესლი. ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ წელს მოვიყვანოთ უხვი მოსავალი და ღირსეულად ვუპასუხოთ კოსმოსის დამპყრობთა გმირობას.

დ. იოხიმოვიჩი,
ნ. სემიჩევი.

კემეროვო, 18 მარტი.

„მარინერ-4“ დაზიანდა

ნიუ-იორკი, 19 მარტი. (საკდესი). ამერიკულმა კოსმოსურმა ხომალდმა „მარინერ-4“, რომელიც მთვარის მიმართულებით მიფრინავს, შეწყვიტა დედამიწაზე ცნობების გადმოცემა რადიაციის შესახებ, განაცხადეს რეაქტიული ძრავების ლაბორატორიის ხელმძღვანელებმა. ამას იტყობინება ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი პასადინიდან (კალიფორნია).

ხომალდის საიონიზაციო კამერამ, რომლის ნაწილი მწყობრიდან ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ გამოვიდა, სავსებით შეწყვიტა მოქმედება.

ინფორმაციის ცენტრი

აი რაზე წერდა გუშინ უცხოეთის პრესა

საზღვარგარეთის დღევანდელი გაზეთების პირველ გვერდზე მოთავსებული საბჭოთა ფენომენის კოსმონავტების პოლკოვნიკ პ. ი. **ბელიაევისა** და პოდპოლკოვნიკ ა. ა. **ლეონოვის,** კოსმოსურ ხომალდ „აისი-2“-ის პილოტების ფოტოსურათები. „ახალი საბჭოთა კოსმოსური სასწაული“, „საბჭოთა ხალხის დიდი გმირობა“, „სსრ კავშირი კაცობრიობის პროგრესის ავანგარდში“, „პირველად საბჭოთა კოსმონავტი გამოვიდა კოსმოსური ხომალდიდან, — კოსმოსში“ — ასეთი სათაურებით ბეჭდავენ გაზეთები მოსკოვიდან მიღებულ ცნობებს, რომლებმაც უკანა პლანზე გადასწიეს მსოფლიოს ყველა სხვა ამბავი. პრესა აქვეყნებს დიდძალ მასალას კოსმოსურ ხომალდ „აისი-2“-ის ფრენის შესახებ, მოჰყავს ბიოგრაფიული ცნობები სახელოვანი საბჭოთა კოსმონავტების შესახებ, აგვიწერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა საუბარს ხომალდ „აისი-2“-ის ეკიპაჟთან, აგრეთვე ათავსებს მსოფლიოს ყოველ კუთხიდან მიღებულ გამოხმაურებას საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი დიადი გამარჯვების გამო.

„ხორციელდება დიდხანს ოცნება, — წერს ფრანგული „ლუმანიტე“. — პირველად დადის ადამიანი კოსმოსურ სივრცეში. ეს ადამიანი თითქოს მეცნიერულ-ფანტასტიკური რომანის ან სათავგადასავლო ფილმის პერსონაჟია. ჩვენს დროში ფანტასტიკა შეიძლება კიდევაც ჩამორჩეს სინამდვილეს. ეს ადამიანი, რომელიც კოსმოსში დადის და რომლის უკან მოჩანს მბრუნავი დედამიწა, დაუჯერებელი სანახაობაა!. ეს ადამიანი არსებობს და იგი საბჭოთა ადამიანია“. მეორე ფრანგული გაზეთი — **„პარიზიენი ლიბერე“** აღნიშნავს: „ჩვენი პლანეტის მოსახლე სამი მილიარდი აღტაცებული ადამიანის თვალწინ ხორციელდება შთანაფიქრი, რომელიც სჭარბობს ყველ ნაბიჯს ყველაზე გაბედულ წინასწარმეტყველებას“.

ინგლისური გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ: კოსმოსური ხომალდის „აისი-2“-ის ფრენამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვნად უსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს კოსმოსური სივრცის ათვისების საქმეში. დასავლეთ გერმანიის პრესასაც მიაჩნია, რომ მანძილი, სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კოსმოსის დაპყრობის დარგში სრულიადაც არ მცირდება და რომ საბჭოთა კავშირი დიდად უსწრებს ამერიკას. **„ნიუ-იორკ ტაიმსი“** მოთავსებს სტატია სათაურით „რუსეთი შორს წავიდა წინ“, რომელშიც აღიარებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ საბჭოთა კავშირს კოსმოსის კვლევის პროგრამების მხრივ. კენედის კონცხიდან მიღებულ ცნობაში, საიდანაც ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ გაუშვან 23 მარტს თვიანთი კოსმოსური ხომალდი, „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, რომ იქ „სასოწარკვეთილება სუფევს“.

დასავლეთ გერმანიის გაზეთები დიდ ადგილს უთმობენ კანცლერ ერჰარდის მიერ მიუნხენში წარმოთქმული სიტყვის გაშუქებას. ამ სიტყვაში ერჰარდი იცავდა ბონის პოლიტიკას არაბული სახელმწიფოების მიმართ.

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ წერს, რომ „საერთო ბაზრის“ კომისიის თავმჯდომარეს ჰალშტაინს ვაშინგტონში გაუცხადეს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს „არ შეუმცირებიათ თვიანთი ვალდებულებანი ევროპაში, თუმცა ახლა ძლიერ დატვირთული ამიან ვიეტნამის საქმეებით“.

კოლონიები გ

ახალი აეჯეჯი-ყროჯეჯი

მუსიკალური ფესტივალი

მტკიცდება და ვითარდება ამიერკავკასიის ხელოვნების მუშაობა შემოქმედებითი მეგობრობა. სამი მოძმე რესპუბლიკის ლიტერატურის, თეატრის, კინოს, მუსიკის მოღვაწენი ერთად წყვეტენ ამოცანებს, რომლებიც მათ წინაშე პარტიამ და ხალხმა დასახეს. ეს ნაყოფიერი თანამშრომლობა ჯარგ ზეგავლენას ახდენს ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაზე.

მიმდინარე წლის ივნისში მუსიკის მრავალი მოყვარული ფესტივალზე ამიერკავკასიის „მუსიკალური გაზაფხული" გაეცნობა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კომპოზიტორთა ახალ ნაწარმოებებს.

მუსიკალური ფესტივალის „ამიერკავკასიის გაზაფხულის" თბილისის ტურის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. თორაძემ საქიდესთან კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— რესპუბლიკაში დაიწყო დიდი მზადება მუსიკალური ხელოვნების ამ დათვალიერებისათვის. შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც თავმჯდომარეობს სსრ კავშირის სახალხო არტისტი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე ა. მაჭავარიანი. კომიტეტის შემადგენლობაში არიან კომპოზიტორები ა. ბალაჩიგაძე, რ. გაბიჩვაძე, ბ. კვირნაძე, ა. კერესელიძე, გ. კოკეტაძე, რ. ლაღიძე, შ. მშველიძე, ს. ნასიძე, ს. ცინცაძე, ა. ჩიმაკაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ე. სალუქვაძე, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მელაძე, რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გიგოშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ქ. გარდაფხაძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი დ. იოსელიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დეპეშათა სააგენტოს დირექტორი ვ. ჭიაურელი, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" რედაქტორი ო. ეგაძე, საქართველოს ფილარმონიის დირექტორი ა. ყაფიანი, მუსიკისმცოდნე გ. ორჯონიკიძე, პროფესორი პ. ხუჭუა (პასუხისმგებელი მდივანი).

წლევანდელი ფესტივალი მოეწყობა სამ ეტაპად. იგი დაიწყება ბაქოში, შემდეგ თბილისში (6-დან 11 ივნისამდე) და დამთავრდება ერევანში. პროგრამა მეტად საინტერესოა. პროგრამაში შეტანილია ოპერები, ბალეტები, ოპერეტები, სიმფონიური, ინსტრუმენტული, ვოკალური ნაწარმოებები.

ამიერკავკასიის პირველი „მუსიკალური გაზაფხულის" შემდეგ შვიდი წელი გავიდა. ამ დროის მანძილზე საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კომპოზიტორებმა შექმნეს ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომლებიც საბჭოთა მუსიკალური კულტურის ოქროს ფონდში შევიდა. კომპოზიტორთა რიგებს ახალი ძალები შეემატა.

ფესტივალი ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მუსიკალური ხელოვნების ნამდვილი დათვალიერება იქნება. გაზაფხულის ამ ზეიმზე მოიწვევენ მოსკოვის, ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკების მუსიკოსებს, ჩვენს საზღვარგარეთელ კოლეგებს.

ფესტივალის მონაწილენი — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მუსიკალური საზოგადოებრიობის დელეგაციები — ჩავლენ ბაქოში, თბილისსა და ერევანში.

ფესტივალის თბილისის ტურში მონაწილეობას მიიღებენ ოპერისა და ბალეტის თეატრის, აგრეთვე მუსიკალური კომედიის თეატრის კოლექტივები, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი, საქართველოს სახელმწიფო კაპელა, კამერული ანსამბლი და ანსამბლი — ნონეტი. ამ დათვალიერებისათვის საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი ამზადებს სპეციალურ გამოცემებს, რომლებიც ეძღვნება რესპუბლიკის მუსიკალური ცხოვრების საკითხებს.

დათვალიერების დღეებში ამიერკავკასიის კომპოზიტორთა ნაწარმოებებს შეასრულებენ სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უმაღლეს სასწავლებლებში.

უდიდესი პასუხისმგებლობით ემზადებიან ქართველი კომპოზიტორები ამ შემოქმედებითი ანგარიშისათვის. (საქდესა).

ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲧᲘᲚᲓᲝ

რესპუბლიკური კანტორის „საქბაკალეის" კოლექტივმა 1964 წლის მეოთხე კვარტალის გეგმა 121 პროცენტით შეასრულა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა.

ამ დღეებში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც შესანიშნავი სიტყვით გახსნა „საქბაკალეის" მმართველმა ნ. მაისურაძემ.

საქართველოს ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ო. იოსელიანმა „საქბაკალეის" მუშაკებს გადასცა საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის გარდამავალი წითელი დროშა. მათვე მიეკუთვნათ პირველი ფულადი პრემია 2.250 მანეთის ოდენობით.

თ. ცაგურია.

გაზაფხული ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

ფოტოტეუდი ა. ჩარკვიანისა.

ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ

ᲓᲣᲨᲔᲗᲘ. (საკ. კორ.). ქალაქ დუშეთს კიდევ ერთი ლამაზი და ნათელი ნაგებობა შეემატა — საბავშვო ბაღის ახალი ორსართულიანი შენობა, რომელიც განკუთვნილია ასი ბავშვისათვის. შენობის საერთო ფართობი რვაასი კვადრატული მეტრია, აქვს ოცდაორი ოთახი, მუსიკალური დარბაზი, ორმხრივი აივანი, დამხმარე სათავსები.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ • ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ • ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ Ზ. ᲞᲝᲜᲔᲓᲔᲚᲜᲘᲙᲝᲗᲐᲜ

ᲐᲠ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ როსტოვის მცხოვრებთა შორის ერთ-ერთი პოპულარული ადამიანია არმიის სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვიქტორ პონედელნიკი. იგი ხომ არა მარტო ცნობილი სპორტსმენია, არამედ აგრეთვე კარგი ამხანაგი, მეოჯახე, სტუდენტი. მისი დღე უაღრესად დატვირთულია — წვრთნა, მუშაობა, უნივერსიტეტში მეცადინეობა. მაგრამ ვიზიტის მიზანი რომ შეიტყო, სიამოვნებით დათანხმდა მივეელ შინ.

საუბრის დროს ვ. პონედელნიკმა ბევრი საინტერესო აზრი გამოთქვა ქართულ ფეხბურთზე და კერძოდ თბილისს „დინამოზე".

— დიდი ხანია სურვილი მაქვს ერთი მატჩი მაინც ვითამაშო ამ შესანიშნავ კოლექტივში, — ღიმილით ამბობს იგი. — მეტად მომწონს ქართველების თამაშის სტილი. მტკიცედ შემიძლია ვთქვა, რომ თქვენი ფეხბურთელები ტემპერამენტით იტალიელებსა და ესპანელებს არ ჩამოუვარდებიან, ხოლო ტექნიკით — სამხრეთამერიკელი სკოლის საუკეთესო წარმომადგენლებს.

თბილისის „დინამო" მაღალი კლასის ფეხბურთელთა ანსამბლია. იგი ტექნიკური ილეთების, ტაქტიკური აზროვნებისა და თეორიული ცოდნის უმდიდრეს არსენალს ფლობს. თქვენი ფეხბურთელები ოქროს მედლებს რომ მოიპოვებდნენ, ამაში ეჭვი აღარ მეპარებოდა როსტოვში შედგარი მატჩის შემდეგ, რომელიც ჩვენ წავაგეთ. თუმცა თეორიულად ჩვენ კიდევ შეგვეძლო განგვეგრძო ბრძოლა საპრიზო ადგილისათვის, მაგრამ ამ წაგებამ მორალურად იმოქმედა ჩვენზე.

კოლექტივის მართვის საქე მწვრთნელს გაბრიელ კარალონს საიმედო ხელშია. მისი ხელმძღვანელობით სსრ კავშირის ნაკრებ გუნდს არა ერთი გამარჯვება მოუპოვებია.

დღეს თბილისელებისაგან ბევრი რამ შეიძლება ისწავლონ. მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ ბარქაია, შოთა იამანიძე აღტურვილი არიან იმდენად ბასრად აღსილი ტექნიკით, რომ ზოგჯერ მათთან ვერაფერს ვერ აწყობს ორ-ორი, სამ-სამი მცველიც კი. ხოლო როცა რომელიმე მათგანი გარღვევისას მიიღებს ბურთს, მათი ზუსტი დარტყმის შემდეგ მეკარეს კარის გადარჩენა თითქმის აღარ ძალუძს. თბილისში ფრეს მიღწევა, გამარჯვება რომ აღარაფერი ეთქვათ, თვითეული გუნდის მიზანი და სურვილია.

გუნდში ბევრია მომწიფებული ახალგაზრდაც — გიორგი სიჭინავა, მურთაზ ხურცილავა, გურამ ცხოვრებოვი, ვახტანგ რეხვიაშვილი. მეტად ძნელია თამაში რეხვიაშვილის წინააღმდეგ. მე ეს თვითონ გამოვცადე. იგი მოქნილი, მარჯვე, მაღალტექნიკური, ფინდასტერია, წინდახედულად გამოდის ბურთის გამოსატაცებლად, უნარიანად გადადის რბილი თამაშიდან ძალისმიერზე და პირიქით, იმის მიხედვით, თუ როგორ თამაშს შესთავაზებს მოწინააღმდეგე. ბრძოლის მანერით ჩემს ამხანაგს გივი ჩოხელს მაგონებს. იქნებ ვცდები, მაგრამ შემიმჩნევია, რომ ბევრი მცველი პოზიციური სტილით თამაშში მაგალითს იღებს ჩოხელისაგან. ვახტანგ რეხვიაშვილი თანამედროვე ტიპის მცველის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს.

დარწმუნებული ვარ, რომ „ოქროს" გუნდი ახალ სეზონში კვლავ განაახლებს თავის მედლებს.

ჩვენი საუბარი დასასრულს უახლოვდებოდა. იგი ტელეფონის ზარმა შეწყვიტა. ვიქტორმა ყურმილი აიღო. ეტყობა, მას რაღაცას შეეკითხნენ.

— მეტრეველი, ივანოვი, მე და მესხი, უპასუხა მან.

დავინტერესდი.

— მეკითხებიან უცხოთის სააგენტოდან, თავდასხმის ხაზის რა შემადგენლობაში მოვისურვებდი მეთამაშნა სსრ კავშირის ნაკრებში.

ბ. ᲑᲘᲒᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
დონის როსტოვი.

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲡᲐᲠᲐᲔᲕᲝᲨᲘ

19 მარტს სარაევოში (იუგოსლავია) დაიწყო ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. საბჭოთა კავშირიდან თამაშობენ საერთაშორისო გროსმაისტერი ლ. პოლუგაევსკი და საბჭოთა კავშირის გროსმაისტერი ა. **სუეტინი.** სარაევოში ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ა. სუეტინი თბილისში ჩამოვა და კონკურსგარეშე ითამაშებს საქართველოს ჩემპიონატში.

სარაევოში თამაშობენ აგრეთვე გროსმაისტერები — **ᲑᲝᲒᲝᲡᲚᲝᲕᲘ** და **ᲢᲠᲘᲜᲓᲐᲤᲘᲚᲝᲕᲘ** (ბულგარეთი), **ᲚᲔᲜᲓᲘᲔᲚᲘ** (უნგრეთი), **ᲣᲚᲛᲐᲜᲘ** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), საერთაშორისო ოსტატები — **ᲛᲐᲚᲘᲩᲘ** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), **ᲤᲝᲠᲜᲘᲜᲓᲐᲢᲘᲜᲘ** (უნგრეთი), **ᲞᲝᲠᲢᲘ** (ჩეხოსლოვაკია), **ᲙᲝᲜᲯᲐᲠᲐ**, **ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ**, **ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲕᲘᲩᲘ** (იუგოსლავია), ოსტატობის კანდიდატები — **ᲝᲡᲛᲐᲜᲐᲒᲘᲩᲘ** და **ᲑᲝᲠᲝᲕᲘᲩᲘ** (იუგოსლავია).

შეჯიბრება 10 აპრილამდე გასტანს.

ᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

საკავშირო ჩემპიონატი კრივში სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია. ეს შეჯიბრება გაიხსნება ხვალ მოსკოვის სპორტსასახლეში და რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

ფინალურ ასპარეზობას წინ უძღოდა წინასწარი შეხვედრები ტაშკენტში, ალმა-ატაში, რიგაში, ლენინგრადში, სვერდლოვსკსა და კრასნოიარსკში 480-მდე სპორტსმენის მონაწილეობით. ამ შეხვედრებმა გამოაკვეთა უძლიერესები, რომლებსაც პაექრობა ექნებათ სსრ კავშირის ჩემპიონებთან და ოლიმპიურ ასპარეზობის საბჭოთა პრიზიორებთან.

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲑᲐᲥᲝᲨᲘ

ᲑᲣᲨᲘᲜ ბაქოში დაიწყო ქალაქიკურ მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი ი. პოდდუბნის სახელობის პრიზზე. მონაწილეობენ — ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სპორტსმენები.

პირველ დღეს ეგაეძემ დაამარცხა რსფსრ წარმომადგენელი კონონოკოვი, გვანცელაძემ მოუგო ახერბაიჯანელ ბაბახანოვს.

შეჯიბრება გრძელდება.

Გ. Ი. ᲪᲐᲥᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲑᲐᲠᲓᲐᲪᲘᲗᲐᲚᲐ სკკპ წევრი 1918 წლიდან, პერსონალური პენსიონერი გიორგი იოსების-ძე ცაქსაშვილი.

გ. ცაქსაშვილი დაიბადა 1895 წელს გორის მაზრის სოფ. ელანძილებში, გლეხის ოჯახში. 1911-1915 წლებში მუშაობდა ბორჯომის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშად. 1915 წელს გაწვეულ იქნა ჯარში, სადაც დაუკავშირდა ბოლშევიკებს და ეწეოდა აგიტაციას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

1918 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა საქართველოში, მუშაობდა ბორჯომის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში. 1918 წლის აპრილში გ. ცაქსაშვილი მიღებულ იქნა ბოლშევიკური პარტიის წევრად და ინალენგალურ მუშაობას ეწეოდა ხაშურის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1919 წელს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მოწყობილ შეიარაღებულ აჯანყებაში. გ. ცაქსაშვილი იყო ხაშურის რაიონის შეიარაღებული აჯანყების მომწყობი შტაბის წევრი. 1920 წლის დეკემბერში იგი მენშევიკურმა მთავრობამ დაპატიმრა, მყოფდა ჯერ თბილისს, შემდეგ ქუთაისის ციხეში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გ. ცაქსაშვილი მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. იგი იყო საქართველოს კპ (ბ) ხაშურის რაიკომის ინსტრუქტორი, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, მუშაობა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებული გორის მაზრაში, გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ქსნის აგურ-კრამიტის ქარხნის დირექტორი, თბილისის ორჯონიკიძისა და ლენინის რაიონების სახალხო მოსამართლე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

გ. ცაქსაშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲙᲐᲪᲘᲐ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ?

ᲪᲜᲝᲑᲐᲠᲘ „ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ"

რამდენი კაცია დედამიწაზე? როგორ იზრდება მათი რიცხვი? როგორია კაცობრიობის შემდგომი ზრდის პერსპექტივები?

ამ და ბევრ სხვა კითხვაზე პასუხს იძლევა ცნობარი „მსოფლიოს მოსახლეობა", რომელიც ახლახანს გამოვიდა. ცნობარი შედგება 15 განყოფილებისაგან.

პირველ „განყოფილებაში ლაპარაკია ჩვენი პლანეტის მოსახლეობის საერთო რაოდენობასა და ზრდაზე, მოსახლეობის შემდგომი ზრდის პერსპექტივებზე..

მიმდინარე წლის დასაწყისში დედამიწის მოსახლეობამ შეადგინა 3,3 მილიარდი კაცი. 2.000 წლისათვის ეს ციფრი ექვსს მილიარდს გადააჭარბებს. სსრ კავშირში 1980 წლის ბოლომდე იქნება 280 მილიონამდე მცხოვრები. ამ პერიოდში მატების ყველაზე დიდი ტემპი მოსალოდნელია ლათინურ ამერიკაში, აზიაში, აფრიკაში.

ცნობარის შემდეგი განყოფილება მიეძღვნა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დახასიათებას: შობადობას, სიკვდილიანობას, მატუბას. 1963 წელს დედამიწაზე დაიბადა 120 მილიონამდე კაცი, მოკვდა — 55 მილიონი კაცი. სიცოცხლის ხანგრძლიობა საშუალოდ შეადგენს: ჩრდილოეთ ამერიკაში — 70, ევროპაში — 68, ლათინურ ამერიკაში—50-55, აზიაში — 40-50 წელს, აფრიკაში — 40 წელზე ნაკლებს. 1962-1963 წლებში საბჭოთა ადამიანების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობამ 70 წელს მიაღწია.

ცნობარი დაწერა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკთა ჯგუფმა და გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკდესი).

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ

ᲓᲐᲮᲡᲠᲩᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ

ᲡᲐᲮᲩᲔᲠᲘᲡ რაიონის სოფელ მერჯევეს პატარა მდინარე ჩამოუდის. ამას წინათ იგი უეცრად ადიდდა. პენსიონერი შ. კასრაძე მდინარეზე გადასვლისას წყალში ჩავარდა და ტალღებმა გაიტაცეს. ეს შენიშნა მასწავლებელმა მ. დეკანოიძემ, რომელიც სწრაფად გადაეშვა მდინარეში. ტალღებთან თხუთმეტწუთიანი ბრძოლის შემდეგ მ. დეკანოიძემ მდინარეს გამოსტაცა გრძნობადაკარგული შ. კასრაძე, რომელსაც პირველი დახმარება გაუწია და მოასულიერა.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, რომ მ. დეკანოიძემ ადამიანი დახრჩობას გადაარჩინა.

რ. ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ.

ᲜᲝᲠᲩ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲔᲑᲡ ᲧᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐᲗ

ᲛᲬ ამბავი სამუდამოდ დაამახსოვრდებათ თბილისელ მოსწავლეებს მიტო გორდელაძეს და სოფო კინწურაშვილს. მათი სკოლის ამხანაგები, ეკადაგოგები, მშობლები და ნათესავები 19 მარტს პიონერთა სასახლეში მივიდნენ, რათა მიელოცათ დიდი წარმატება. მიტო გორდელაძემ და სოფო კინწურაშვილმა გაიმარჯვეს ნორჩ მხატვართა მოსკოვის საერთაშორისო კონკურსში, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის ლიგამ გამოაცხადა.

ასახლის თეატრალურ დარბაზში უჩვეულო ვივლ-ფივლილია. ყველანაირ მორთულ სცენაზე არიან მიტო გორდელაძე და სოფო კინწურაშვილი, აგრეთვე ჩვენი სტუმარი — სსრ კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი ჰელმუტ შლემი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გიგოშვილი.

ნორჩ მხატვრებს გულთბილად მიესალმა ამხ. ლაშქარაშვილი.

ჰელმუტ შლემმა მიტო გორდელაძეს ვერცხლის მედალი გადასცა სუვენირებისათვის „რეგბი თბილისში", „ამერიკული კინოფილმი" და „უკანასკნელი ცხობები". სოფო კინწურაშვილმა ბრინჯაოს მედალი მიიღო. ნორჩმა მხატვრებმა მიიღეს აგრეთვე ფასიანი საჩუქრები.

— მინდა ვუსურვო ჩვენს ბავშვებს, — თქვა ამხ. შლემმა, — რომ მათი ცხოვრების გზა მუდამ შვიდობიანი და ბედნიერებით იყოს გასხივოსნებული.

სურათისათვის „რეგბი თბილისში" მიტო გორდელაძემ ქ. თბილისის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის სალეი მიიღო. რეგბის ფიდერაციის სახელით გ. მრელაშვილმა აჩუქა რეგბის ბურთი, რომელზეც სამახსოვრო წარწერაა.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თეთრ დარბაზში მოწყობილია მიტო გორდელაძისა და სოფო კინწურაშვილის ნაწარმოებთა გამოფენა.

პიონერთა და მოსწავლეთა თვითმოქმედმა კოლექტივებმა თავიანთი ხელოვნება უჩვენეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსულ სტუმარს. (საქდესი).

ᲮᲣᲠᲐᲗᲨᲘ (მარცხნიდან მარჯვნივ): მიტო გორდელაძე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მრჩეველი ჰელმუტ შლემი და სოფო კინწურაშვილი ჯილდოების გადაცემის შემდეგ.

ფოტო გ. კიკვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲘᲡ ᲜᲐᲪᲝᲕᲜᲘ ᲔᲚᲓᲐᲠᲨᲘ

ᲐᲮᲛᲔᲢᲐ. (საკ. კორ.). ახლახან ელდარში აღმოაჩინეს სამარხი. აქ იყო ორი ქალის ჩონჩხი. ერთს თავი ჰქონდა სამხრეთით, მეორეს — ჩრდილოეთით. სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე წითელი თიხის ორი ჭინჭილა, შავი თიხის ჭურჭელი ჯვრის გამოსახულებით.

პირამიდულ ქვის კედელში, რომელიც ჩადგმულია სამარხის დასავლეთით, აღმოჩნდა 40-50 ლიტრის ტევადობის ქოცო (პატარა ქვევრი). აქვე იყო დაახლოებით 10 ლიტრის ტევადობის ვიწროყელიანი დოქი, ორი თიხის ჭურჭელი და უცნობი ცხოველის ძვლები.

სამარხში იპოვნეს აგრეთვე მძივები, სპილენძის საყურეები, ბრინჯაოსა და რკინის ნაჭრები.

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ

ᲙᲘᲔᲕᲘ, 19 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის მოციგურავეთა პირად-გუნდური პირველობის დასასრული, ეჭვგარეშეა, მომდინარეობდა კოსმოსის ნიშნით. მართლაც, პირველობის ყველა მონაწილეზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა კოსმონავტების პ. ი. ბელიაევისა და ა. ა. ლეონოვის გმირულმა ფრენამ.

მაგრამ, არა მარტო შეჯიბრების მონაწილეებზე მოახდინა ასეთი შთაბეჭდილება, არამედ მაყურებლებზეც, რომელთა შორის იყო ისეც, რომელსაც უშუალო ურთიერთობა აქვს სიტყვა „კოსმოსთან" — ეს იყო სახელგანთქმული საბჭოთა მხტომელი ვალერი ბრუმელი.

— ძალიან მოყვარს ფიგურული ციგურაობა, ხშირად დავდივარ ფიგურისტთა შეჯიბრებაზე. ჩემი აზრით, დღეს ისინი კარგად გამოდიან. ჩანს, რომ თითოეულ მათგანს მიზნად აქვს დასახული შეასრულოს პროგრამა უმაღლესი პილოტაჟის დონეზე, იხტუნოს მაღლა და ლამაზად, თითქოს თავის მოძრაობას სახელგანთქმულ თანამემამულეებს — პაველ ბელიაევსა და ალექსი ლეონოვს უძღვნისო, რომლებიც სამყაროს კვალავდნენ.

რაც შეეხება თვით შეჯიბრებას, აქ სავალდებულო პროგრამის შედეგების მიხედვით ვაჟთა შორის დაწინაურდა მოსკოველი ალექსანდრე ვედენინი. სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტულის რეალური პრეტენზია ჰქონდა ერიოელთა ციგურაობაში აგრეთვე სერგი ჩეტვერუხინს, ვლადიმერ კურებინსა და ვალერი მეშკოვს. მაგრამ სპორტულმა ბედმა არ უმტყუნა ᲕᲔᲓᲔᲜᲘᲜᲡ და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა.



ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲗᲣ?..

ᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ, ᲰᲘᲞᲝᲗᲔᲖᲔᲑᲘ, ᲐᲚᲛᲝᲩᲔᲜᲔᲑᲘ

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ მილიარდობით უჯრედებს შორის არიან მემამარი უჯრედები: ფაგოციტები, ლიმფოციტები, პლაზმური უჯრედები. როგორც კი მტერი — მიკრობი, ვირუსი, თუ გარეშე ცილა — ორგანიზმში შეაღწევს, ისინი მიესევიან ხოლმე მას და განსაკუთრებული ნივთიერებების — ანტისხეულების გამომუშავებით ანეიტრალებენ მას, თამაშიდან გამოჰყავთ.

ესენია იმუნური სისტემის უჯრედები, რომლებიც ბევრი გადამდები ავადმყოფობისაგან გვიცავენ. მაგრამ მავნე ნივთიერებანი თვით ორგანიზმმა თუ წარმოშვა, ამ შემთხვევაში მოქმედებს იმუნიტეტის მექანიზმი?

რევმატიზმის, ათეროსკლეროზის, ღვიძლის, თირკმელების დაავადებათა დროს ქსოვილებში აუტოანტიგენები წარმოიშობა ხოლმე. ანტიგენი— გარეშე ცილაა, აუტო — თვით ორგანიზმის მიერ შექმნილი. თურმე აქაც მარადიული ბიოლოგიური კანონი ამოქმედდება ხოლმე — აუტოანტიგენებს აუმხედრდებიან აუტოანტისხეულები.

და ამ ბრძოლაში, სადაც ორგანიზმი თითქოს საკუთარი თავის წინააღმდეგ ომობს, მეცნიერებმა შეამჩნიეს უცნაური ბუნების კანონთა საწინააღმდეგო თავისებურებანი: ანტისხეულებს, რომლებიც რომელიღაც ქსოვილებს „ენათესავებიან", სხვადასხვა გარემოებაში შეუძლიათ დააზიანონ ეს ქსოვილები.

იხვს ორგანიზმში შეუღვენეს ბოცვრის თირკმლების ქსოვილი, და ამ ანტიგენის წინააღმდეგ მის სისხლში დაუყოვნებლივ გაჩნდნენ ანტისხეულები. როცა ანტისხეულებით სავსე იხვის სისხლისაგან შრატი დაამზადეს და ბოცვერს შეუშხაპუნეს, ამ უკანასკნელს დაეწყო თირკმლების დაავადება — ნეფრიტი. უცხო სისხლის ანტისხეულები მისთვის აუტოანტისხეულები გახდნენ. ისინი ხომ არ არიან დაავადების მიზეზი და ამის მსგავსი რამ ხომ არ ხდება დაავადების ბუნებრივი განვითარებისას?

ზოგიერთი ფაქტი თითქოს ადასტურებს ამ ვარაუდს. მაგალითად, გამორკვეულია, რომ იმუნური მექანიზმი უდევს საფუძვლად სისხლის ბევრ დაავადებას — აუტოანტისხეულები შლიან სისხლის უჯრედებს.

თანდათანობით შეიქმნა აზრი, რომ აუტოანტისხეულები თითქოს ბრმად ომობენ და, გარდა მტრებისა „სუფიცხით" თავიანთ სრულიად უდანაშაულო ცოცხალ ქსოვილებს აზიანებენ.

როგორც მიჩნეულია, აქ საქმე ის არის, რომ აუტოანტისხეულები საკმაოდ ვერ არჩევენ თავიანთი მოქმედების არეს. და ბევრმა მეცნიერმა მათ დასწამა მოღალატური როლი — პათოლოგიური პროცესის გაღრმავება თითქმის ყოველი დაზიანების დროს. ასეთი ტერმინიც კი გამოჩნდა: აუტოიმუნური დაავადებანი, შეირყა ჩვეული წარმოდგენა ანტისხეულების დამცველი როლის შესახებ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმუნიტეტი — სენშეუვალობა — ორგანიზმის საიმედო თავდაცვითი იარაღი შეიცვალა დაავადებით — პათოლოგიით. იმუნოპათოლოგია, სულ ცოტა, პარადოქსულად ეღერს.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნორმალური და პათოლოგიური ფიზიოლოგიის ინსტიტუტის იმუნოპათოლოგიის ლაბორატორიაში, რომელსაც პროფესორი დმიტრი პლეციტი ხელმძღვანელობს, ასეთი ცდა მოაწყეს. ცხოველებში გამოიწვიეს გულის შიდა გარსის — ენდოკარდის დაავადება, რომელსაც თან ახლავს აუტოანტისხეულთა წარმოქმნა. სისხლში რომ დაგროვდნენ, ისინი, არსებული თეორიის მიხედვით, დაზიანებულ გულს უნდა მისეოდნენ, დაავადება გაეძლიერებინათ, მაგრამ ის, რაც მოხდა, ამ კლასიკურ შეხედულებას არ დაემთხვა.

ავადმყოფი ბოცვერის სისხლი, რომელიც დამღუპველ აუტოანტისხეულებს შეიცავდა, შეუღვენეს ცხოველთა მეორე ჯგუფს, რომელთაგან ის იყო ეწყებოდათ ენდოკარდის დაავადება. თითქოს ისინი იმათზე მალე უნდა დაღუპულიყვნენ, რომლებისთვისაც შრატი არ შეუღვენიათ, სადაც ავადმყოფობას შესაძლებლობა მისცეს თავისი ბუნებრივი ხელსაბლებლობით განვითარებულიყო.

დღეები გადიოდა, განწირული ცხოველები კი არ იღუპებოდნენ. პირიქით, შრატი დაეხმარა მათ ავადმყოფობასთან ბრძოლაში. რა არის ეს — იმუნიტეტის მარად მოქმედი მექანიზმი თუ შემთხვევითობა?

იმუნიტეტი — მხსნელი, იმუნიტეტი — განადგურებელი... ძალიან ძნელია უნაკლო სიზუსტით დაამტკიცო, ბრალი მიუძღვის მას იმუნურ ავადმყოფობებში თუ ერთგულად ემსახურება ორგანიზმს, იცავს მას. იმუნიტეტის მოქმედებას ცოცხალი სხეულის გარეთ ხომ ვერ დააკვირდები, იქ კი ესოდენ ყოველნაირი რეაქციები ხდება, რომლებიც ექსპერიმენტში ერევიან, მონაცემების არევ-დარევას იწვევენ, რის შედეგიც ზოგჯერ არასწორი დასკვნების გამოტანაა.

დიმიტრი პლეციტიმ და მისმა თანამშრომლებმა ლაბორატორიაში მოაწყეს